საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფაფუილებით და ჭოტებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 23 ნოემბერი. 2016 წ. №219 (8110), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

წმინდაო გიორგი, იხსენ სამკვიდრო შენი — გეორგია!

წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
იხსენ სამკვიდრო შენი — გეორგია,
დიდების უფალი მართალთა მწედ არი.

წმიდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!

ზვიად გამსახურდია

23 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს ზეიმობს.

...წმინდა დიდმოწამე გიორგი წარმოშობით კაბადოკიელი, მდიდარი და კეთილმსახური მშობლების შვილი იყო, რომელიც ქრისტიანული რწმენით აღზარდეს.

სამხედრო სამსახურში შესული წმინდა გიორგი, სხვა მეომართაგან გამოირჩეოდა მეომრული ტანადობით, გონიერებით, სიმამაცით და სილამაზით.

მან მალევე მიაღწია ათასმეთაურის წოდებას და იმპერატორ დიოკლეტიანეს საყვარელ მეომრად იქცა. თვით დიოკლეტიანე ნიჭიერი მმართველი, მაგრამ რომაული კერპების ფანატიკური მიმდევარი იყო. მან მიზნად დაისახა რომის იმპერიაში უკვე მომაკვდავი წარმართობის აღორძინება და ის ისტორიაში, როგორც ქრისტიანთა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მდევნელი, ისე შევიდა.

ცნობილია, რომ სასამართლოზე ქრისტიანთა ამოწყვეტის შესახებ არაადამიანური განაჩენის მოსმენისას, წმინდა გიორგი მათდამი თანალმობით აღენთო. მან განჭვრიტა, რომ მასაც მოელოდა ტანჯვა, თავისი ქონება ღატაკებს დაურიგა, მონები გაათავისუფლა, დიოკლეტიანესთან გამოცხადდა, თავისი ქრისტიანობა განუცხადა და იგი სისასტიკესა და უსამართლობაში ამხილა.

იმპერატორმა, ქრისტესგან განდგომილი უშედეგო შეგონებების შემდეგ, წმინდანის სხვადასხვა სახით წამება ბრძანა.

წმინდა დიდმოწამე გიორგი ხატებზე თეთრ ცხენზე მჯდომარე და შუბით (ან მახვილით) გველეშაპის განმგმირავი გამოისახება. ეს გამოსახულება გარდამოცემაზეა დაფუძნებული და წმინდა დიდმოწამე გიორგის სიკვდილის შემდგომ სასწაულებს განეკუთვნება.

წმინდა გიორგი განსაკუთრებული პატივისცემით საქართველოში მოიხსენიება. ჩვენში მისი სახელობის უამრავი ტაძარია და ამ წმინდანის ხსენება წელიწადში ორჯერ აღინიშნება.

საქართველოში წმინდანის პატივსაცემად ათასობით ადამიანს ჰქვია გიორგი. მისი მადლი შეეწიოს ყველა მის მოსახელეს და სრულიად საქართველოს!

ტრამპი გუნდს კრავს, „კოჭლი იხვი“ კი ევროპას ემშვიდობება

5

უჩა ნანუაშვილი, მაგალითად, მხოლოდ უმცირესობის დამცველია!

4

გზა კოდორიდან რუსეთამდე და... ცისიდან უშიშროების საპარლამენტო კომიტეტამდე

3

ზედიზედ - მეოთხედ!

გუშინ სტამბოლში გაიმართა ევრობასკეტ — 2017-ის ფინალური რაუნდის კენჭისყრა, რომელმაც საქართველოს ნაკრებს „ბ“ ჯგუფში მეტოქეებად უკრაინა, ისრაელი, ლიტვა, იტალია და გერმანია არგუნა.

აღნიშნული ექვსეულის შეხვედრებს თელ-ავივი უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს კონტინენტურ ფორუმზე.

უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ „რუსთავი-2“-ის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო

უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ „რუსთავი-2“-ის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო. მოსამართლეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, საქმე განსახილველად უზენასი სასამართლოს დიდ პალატას გადაეცა.

ეს იმას ნიშნავს, რომ „რუსთავი-2“-ის საკუთრების ბედს, სამის სანაცვლოდ, ცხრა მოსამართლე გადაწყვეტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის ხელმძღვანელობით.

ამბავი დიდი ადამიანისა და მისი ღირსეული შვილიშვილისა...

6

ილია მეორე: დაპირისპირება ძალიან საშიშია და შეიძლება, გლობალურ კონფლიქტში გადაიზარდოს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქ კირილეს იუბილე მიულოცა. მიმართვის ტექსტს საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს:

„თქვენო უწმინდესობავ, მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქო კირილე!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავს. ყოველთვის, როცა ასეთ თარიღებს აღვნიშნავთ, ანალიზს ვუკეთებთ ხოლმე განვლილ გზას და ყურადღებით ვიხედებით მომავლისკენ.

მახსოვს, ჩემი ინტრონიზაციის დღეს მოვიდა ერთი ბრძენკაცი და მითხრა: უფალმა მძიმე ჯვარი გარგუნა და რომ შეიმსუბუქო იგი, მოიხსენე თქვენი მეფეები და პატრიარქები და ისინი მოგეხმარებიან.

მას შემდეგ ვასრულებ ამ რჩევას და მუდამ ვგრძნობ მათ შეწევნას. თქვენო უწმინდესობავ, დაე, თქვენც შეგეწიონ რუსეთის მიწის მეფენი და პატრიარქნი!

თითქმის ორმოცწლიანმა ჩემმა მოკრძალებულმა პატრიარქალურმა მსახურებამ დამანახვა, რომ კარგ შედეგს ვიღებთ, თუ გვაქვს ერთმანეთის მოსმენისა და სხვათა აზრის გაზიარების უნარი. ამიტომაც, კიდევ ერთხელ მინდა თქვენს წინაშე დავაყენო პრობლემა ცხინვალის და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისა.

როგორც იცით, თერთმეტი წლის განმავლობაში მე ვიყავი ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთის და იქ კონფლიქტი არასოდეს ყოფილა. ჩვენთან ასევე მუდამ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ოსები.

ჩვენ ვაფასებთ რუსეთის ეკლესიის პოზიციას, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ აღიარებს ამ რეგიონებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას. იგივე მტკიცედ ითქვა 19 ნოემბრის ჩევნს შეხვედრაზეც.

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირება ორივე ქვეყნისთვის ფრიად მნიშვნელოვანია; ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს.

ვფიქრობ, საქართველო უნდა იყოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის ადგილი, ადგილი კეთილმეზობლობისა. დაპირისპირება კი ძალიან საშიშია და შეიძლება, გლობალურ კონფლიქტში გადაიზარდოს.

მართალია, ჩვენ არა ვართ პოლიტიკოსები და არ ძალგვიძს ამ სფეროში სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ, ღვთის შეწევნით, პროცესებზე გავლენის მოხდენა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

აუცილებელია, აღინიშნოს ისიც, რომ დღეს, როდესაც კაცობრიობა მრავალი და ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, თქვენი გონიერება, ფართო დიაპაზონი, ღვთივბოძებული ტალანტი მქადაგებლისა, ყველასთვის დიდად ფასეულია. თქვენს მწყემსმთავრულ სიტყვას ყურს უგდებენ მილიონობით ადამიანები, როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც ეხმარება მათ ცხოვრების სწორი ორიენტირის პოვნაში.

თქვენ, ჯერ კიდევ 23 წლის ახალგაზრდამ, თავი მიუძღვენით ღმერთს და მას შემდეგ მთელი თქვენი ცხოვრება ეს არის მსახურება მოყვასისათვის. თქვენი გზა არასოდეს ყოფილა იოლი, მაგრამ ახლა თქვენი ჯვარი უფრო მძიმეა და საპასუხისმგებლო, თუმცა ამასთან ერთად დიდად საპატიოც. გწეოდეთ უფალი თქვენს მაღალ მსახურებაში და როდესაც გადახედავთ თქვენს განვლილ გზას, შეგეძლოთ თქვათ: ტვირთი ღვთისა სუბუქ არს და უღელი მისი ტკბილ.

გისურვებთ ჯანმრთელობას, რათა კვლავაც დაუღალავად იმსახუროთ რუსეთის ეკლესიისა და სრულიად მართლმადიდებლობის საკეთილდღეოდ“, — ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მიმართვაში.

გაიცანით საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის წევრობის კანდიდატთა ახალი შემადგენლობა გუშინ დაასახელა.

მთავრობის ახალ შემადგენლობაში არ იქნებიან ნოდარ ხადური, ნოდარ ჯავახიშვილი და დავით ბაქრაძე.

ნოდარ ხადურს **დიმიტრი ქუმსიშვილი** შეცვლის, ნოდარ ჯავახიშვილს **ზურაბ ალავიძე,** დავით ბაქრაძეს კი, რომელიც აშშ-ში ელჩად დაინიშნა — **ვიქტორ დოლიძე.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იქნება **გიორგი გახარია;**

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი — **კახა კალაძე;**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი — **მიხეილ ჯანელიძე;**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **დავით სერგეენკო;**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი — **სოზარ სუბარი;**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **ალექსანდრე ჯეჯელავა;**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი — **ლევან დავითაშვილი;**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი — **ზურაბ ალავიძე;**

საქართველოს ფინანსთა მინისტრი — **დიმიტრი ქუმსიშვილი;**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი — **მიხეილ გიორგაძე;**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი — **ტარიელ ხეჩიკაშვილი;**

საქართველოს თავდაცვის მინისტრი — **ლევან იზორია;**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი — **თეა წულუკიანი;**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **გიორგი მღებრიშვილი;**

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი — **კახა კახიშვილი;**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — **გიგლა აგულაშვილი;**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში — **ვიქტორ დოლიძე;**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი — **ქეთევან ცინელაშვილი;**

მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა პარლამენტს გუშინვე გადაეგზავნა.

ბრავო, გუგული, დავით, გიორგი!

„ქართულ ოცნებას“ პარლამენტში სამი ახალი დეპუტატი ეყოლება. ისინი პარლამენტში გიორგი კვირიკაშვილის, გიორგი გახარიას და კახი კალაძის ადგილებს დაიკავებენ.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მიხედვით, პარლამენტში შესვლა უწევთ გუგული მაღრაძეს, დავით მათიკაშვილს და გიორგი ხატიძეს.

გიორგი კვირიკაშვილი „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის პირველი ნომერი იყო, კახი კალაძე — მეორე, ხოლო გიორგი გახარია — მეხუთე...

ვლადიმერ ჩაჩიბაია შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსია!

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე გადააყენა და ამავე თანამდებობაზე ბრიგადის გენერალი **ვლადიმერ ჩაჩიბაია** დანიშნა.

ორივე განკარგულება გიორგი მარგველაშვილმა გუშინ გამოსცა. განკარგულებებში აღნიშნულია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილებები საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიიღო.

საარჩევნო პერიოდში პარტიებისა და დამოუკიდებელი დეპუტატების ხარჯის სტატისტიკა

აუდიტის სამსახური საარჩევნო პერიოდში პარტიებისა და დამოუკიდებელი დეპუტატების ხარჯის სტატისტიკას ავრცელებს. სტატისტიკა 8 ივნისიდან 8 ოქტომბრის პერიოდს მოიცავს.

აუდიტის სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, ამ პერიოდში „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ჯამური ხარჯი 20 852 680,00 ლარს შეადგენს; „ქართული ოცნების“ შემდეგ ყველაზე დიდი ხარჯი მოძრაობამ „სახელმწიფო ხალხისთვის“ გაწია. ამ პარტიის ჯამურმა ხარჯმა 4 396 452, 00 ლარი შეადგინა; შემდეგი არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისმა ჯამურმა ხარჯმა 2 419 869,00 ლარი შეადგინა; „პატრიოტთა ალიანსი“ — 2 391 046, 00 ლარი; „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ — 1 379 225,00 ლარი; „თავისუფალი დემოკრატები“ — 1 308 840, 00 ლარი; „ეროვნული ფორუმი“ — 543 490, 94 ლარი; „რესპუბლიკური პარტია“ — 554 955, 42 ლარი; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ — 489 169, 00 ლარი; „ლეიბორისტული პარტია“ — 472 400, 00 ლარი; „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ (გირჩი) — 232 426, 21 ლარი; „სამოქალაქო პლატფორმა — ახალი საქართველო“ — 324 005, 00 ლარი. დანარჩენი პარტიების ჯამური ხარჯები 200 ათას ლარს არ აღემატება.

რაც შეეხება დამოუკიდებელ კანდიდატებს, საარჩევნო პერიოდში ყველაზე დიდი ხარჯი გასწია ილია კოკაიამ. მისმა ჯამურმა ხარჯმა 358 293, 00 ლარი შეადგინა; ცეზარ ჩოჩელი - 212 518,00 ლარი.



გზა კოდორიდან რუსეთამდე და... ცხინვალიდან უშიშროების საპარლამენტო კომიტეტამდე

საპარლამენტო უმცირესობა ამჟამად თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იყოფს. ოპოზიციის კვოტა საპარლამენტო უმცირესობის შეთანხმების საფუძველზე უნდა შეივსოს. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ პოზიციაზე „ნაციონალური მოძრაობიდან“ ირაკლი აბესაძე სახელდება, „პატრიოტთა ალიანსიდან“ კი – ემზარ კვიციანი. საბოლოო გადაწყვეტილება სავარაუდოდ, ხმათა უმრავლესობით მიიღება.

ნომინანტი კვიციანი აცხადებს, რომ შეთანხმებას არავისთან აპირებს და თანამდებობას ის დაიკავებს, ვინც მეტ ხმას მიიღებს. რაც შეეხება ნომინანტ აბესაძეს, მისი თქმით, მნიშვნელოვანია, „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობს, გადაწყვეტილება იმ გუნდის სასარგებლოდ მიიღოს, რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურის მშენებლობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს.

საბოლოო გადაწყვეტილება სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

მანამდე კი გთავაზობთ, უკეთ გავერკვეთ, ვინ არის ემზარ კვიციანი, როგორც აშკარად არაორდინალური პიროვნება.

ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილი კვიციანი რუსეთიდან სამშობლოში 2014 წელს დაბრუნდა და ვინაიდან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით იყო აღძრული, თბილისის საერთაშორისო აეროპორტშივე დააკავეს. თავად კვიციანი ბრალდებებს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებდა და აცხადებდა, რომ ხელისუფლების შეცვლამ იმედი ჩაუსახა, სამართლებრივი გზით დაემტკიცებინა უდანაშაულობა. სასამართლო პროცესების დასრულებამდე კვიციანს 9 ბრალდებიდან 7 მოეხსნა, მაგრამ დარჩა 2 – შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ამბოხი სახელმწიფოს წინააღმდეგ. კვიციანის ადვოკატი დარწმუნებული იყო, რომ დარჩენილი ბრალდებები სასამართლოზე გაბათილდებოდა, თუმცა 2014 წლის ნოემბერში კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულ კვიციანს 12-წლიანი პატიმრობა განესაზღვრა. აღნიშნულს განსასჯელის ახლობლების პროტესტი მოჰყვა. თავად კვიციანი კი ბრალდებას არ აღიარებდა და კოდორის მოვლენების ობიექტურ გამოძიებას მოითხოვდა. უკვე 2015 წლის იანვარში სასჯელზე შეთანხმება შედგა და კვიციანი 11-თვიანი პატიმრობის შემდეგ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

პროკურატურასა და კვიციანს შორის სასჯელზე შემდგარი შეთანხმება ბრალის აღიარებას არ ითვალისწინებდა. სასამართლომ აღნიშნული შეთანხმება დაამტკიცა, შესაბამისად, კვიციანმა საპატიმრო დატოვა და ქუთაისიდან თბილისში უწმინდესთან შესახვედრად გამოემგზავრა.

კვიციანის მოულოდნელმა გათავისუფლებამ იმ ფონზე, რომ მას მძიმე დანაშაულებში ედებოდა ბრალი (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ამბოხი), გააჩინა კითხვები, რატომ დასთანხმდა აღნიშნულ წინადადებას პროკურატურა, იყო ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზეწოლის შედეგი, თუ სამართლიანობის რეალურად აღდგენა? რა შესთავაზა სანაცვლოდ კვიციანმა პროკურატურას? და სხვა მრავალი. თუმცა ადვოკატები პოლიტიკურ მოტივებს გამორიცხავდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ კვიციანი არანაირი განსაკუთრებული ჩვენების მიცემას არ აპირებდა. თავის მხრივ, კვიციანი სასამართლო დარბაზის დატოვების შემდეგ აცხადებდა, რომ კოდორის 2006 და 2008 წლების მოვლენებთან დაკავშირებით სამართლებრივი დავის გაგრძელებას გეგმავდა.

„საპროცესო შეთანხმებას იმის გამო დავთანხმდი, რომ მივხვდი, დღევანდელ სასამართლოში. სიმართლეს ვერ დავამტკიცებდი. მოსამართლემ ნახა, რომ უდანაშაულო ვიყავი, პროკურატურამ კი ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა სააკაშვილის დანაშაული დაემალა. არ შეიძლებოდა კოდორში ჯარის შემოყვანა. ვიცოდი, რომ ჯარს შემოიყვანდნენ, შემდეგ ჯარი იქაურობას მიატოვებდა და ხეობას ჩააბარებდნენ. ამ ბრძოლაში ვიყავით ბოლო 10 წელი. ჩვენს ხელისუფლებას ხეობის ჩაბარება უნდოდა, მე არ ვანებებდი და როცა გავიგე, რომ ჯარის შემოყვანა იყო დაგეგმილი, შევედი და განცხადება გავაკეთე. ვთქვი, რომ „ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან რუსებს ლეგიტიმაციას აძლევთ, შემოვიდნენ“-მეთქი. მოლაპარაკებულები ყოფილან რუსებთან, რუსებმა გამოატარეს და მოხდა ის, რაც მოხდა. სარჩელს აუცილებლად შევიტანთ, კოდორის ჩაბარებას არავის ვაპატიებთ და არც არავის ვაპატიებთ რუსუდან გერლიანი-გუგუსიანის სიკვდილს“, – განაცხადა მაშინ ემზარ კვიციანმა.

„აქცენტი“ თავის დროზე კითხვებზე პასუხის მიღებას სახელმწიფო მბრალდებლისგან შეეცადა და საქმის პროკურორ **თენგიზ ჭითაშვილს** დაუკავშირდა.

– ბატონო თენგიზ, საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა ბატონი ემზარისთვის საპროცესო გარიგება, რადგან 12-წლიანი სასჯელი ბრალის აღიარების გარეშე 11 თვემდე შეუმცირდა. თუ შეგიძლიათ, მითხრათ, რა გახდა პროკურატურის მხრიდან მსგავსი ლმობიერების საფუძველი? სუსტი იყო საქმე და არსებობდა საფრთხე, სააპელაციოში წაგეგოთ?

– საქმე სუსტი რომ ყოფილიყო, განაჩენი არ დადგებოდა, დანარჩენთან დაკავშირებით გთხოვთ, პროკურატურის პრეს-ცენტრს მიმართოთ. მე მხოლოდ იმის დამატება შემიძლია, რომ ამ საქმეზე განაჩენიც იყო დამდგარი და, შესაბამისად, სისუსტეზე საუბარი უსაფუძვლოა.

– დაცვის მხარე აცხადებს, რომ ემზარ კვიციანი ბრალს არ აღიარებს. როგორც ვიცით, ის არც გამოძიებასთან თანამშრომლობდა და როდესაც ასეთ პირობებში 11-თვიან სასჯელს დასთანხმდით, რაღაც საფუძველი ხომ უნდა გქონოდათ?

– კანონი იძლევა საფუძველს, საპროცესო შეთანხმება შედგეს ბრალზე და სასჯელზე. როდესაც სასჯელზე ხდება შეთანხმება, აუცილებელი არ არის ბრალის აღიარება, მთავარია, რომ ეს არ ეწინააღმდეგება ფაქტობრივ გარემოებებს და პროკურატურა ურიგდება სასჯელზე, რაც კანონით იყო გათვალისწინებული.

– ამ შემთხვევაში სასჯელის მიზნები მიღწეული იყო? მას ხომ საკმაოდ მძიმე ბრალდებები ჰქონდა წაყენებული...

– გასაგებია. ყველა დეტალზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ყველაფერი მითითებულია შუამდგომლობაში, რომელიც სასამართლოში იქნა წარდგენილი. მასში ნახსენებია ყველა გარემოება, რომლის საფუძველზეც მოხდა გარიგება. დეტალებს პრეს-ცენტრი მოგახსენებთ.

* * *

მოგვიანებით კვიციანი „პატრიოტთა ალიანსს“ შეუერთდა და დეპუტატის მანდატისთვის შეუდგა ბრძოლას, საბოლოოდ კი პარტიული სიით პარლამენტში მოხვდა.

მის საგარეო პოლიტიკურ ხედვასთან დაკავშირებით ხშირად ისმებოდა კითხვები. კოდორის 2006 წლის მოვლენების შემდეგ კვიციანის ჯერ – ოკუპირებული აფხაზეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნის საკითხს ერთ-ერთ ტელედებატებში ცხარე კამათიც მოჰყვა.

ყოფილი რწმუნებულის მომხრეები აპელირებდნენ იმაზე, რომ „კვიციანი სეპარატისტებისგან, რუსებისგან და ჩრდილოეთ კავკასიელებისგან იცავდა ხეობას, ხოლო მას შემდეგ, რაც ბატალიონი „მონადირე“ განაიარაღეს, ხელისუფლებამ კოდორი ერთი ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარა“.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგეებმა დასვეს კითხვა, მაშ რატომ მისცა თავშესაფარი „დაუძინებელ მტერ“ კვიციანს ჯერ აფხაზეთმა, ხოლო შემდეგ – რუსეთმა?!

აღნიშნული დისკუსიის დროს ყოფილმა ძალოვანმა ირაკლი ფირცხალავამ გაიხსენა, რომ კვიციანი ვერც აფხაზეთში გადავიდოდა და ვერც რუსეთში, რადგან ძებნილი იყო.

აწმყოს რომ დავუბრუნდეთ, „ნაციონალური მოძრაობა“ კვიციანის კანდიდატურას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რადგან მას რუსული ინტერესების გამტარებლად მიიჩნევს.

იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანია ოპოზიციის ეჭვები და შეიცავს თუ არა საფრთხეს კვიციანის დანიშნვა ესოდენ მაღალ თანამდებობაზე იმ უმნიშვნელოვანეს კომიტეტში, სადაც უამრავი საიდუმლო ინფორმაცია იყრის თავს, „აქცენტი“ უშიშროების გადამდგარ პოლკოვნიკ **ბესიკ ალადაშვილს** ესაუბრა.

„ძალიან რთული კითხვაა, რომელიც პოლიტიკურ კულუარებში გადადის. ვისაუბროთ ზოგადად და არა კონკრეტულ პიროვნებაზე. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომიტეტი პარლამენტში, სადაც უამრავი ზესაიდუმლო საკითხი განიხილება. საინტერესოა, ზოგადად დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა საარჩევნო ან შემდეგ პერიოდში რამდენად ექვემდებარება, რბილად რომ ვთქვათ, მონიტორინგს ქვეყნის სპეცსამსახურებიდან? ეს რაღაც ეტაპზე უნდა ხდებოდეს. რაც შეეხება საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომას, არსებობს სპეციალური კანონი და, შესაბამისად, სპეციალური პროცედურებიც ტარდება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ პიროვნებასთან დაკავშირებით უნდა იყოს გათვალისწინებული მისი ბექგრაუნდი, ცხოვრების გზა, მისი გამონათქვამები, დღევანდელი კავშირები და ამის მიხედვით უნდა მოხდეს საიდუმლო ინფორმაციაზე მისი დაშვება. ზოგადად, საიდუმლო ინფორმაციაზე ამა თუ იმ სახელმწიფო მოხელის დაშვება სუს-ის შესაბამისი დანაყოფის პრეროგატივაა. რამდენად არის ეს პროცედურები გავლილი თუნდაც თქვენს მიერ ნახსენებ შემთხვევაში და რამდენად არის კანონი დაცული, ამის მიხედვით უნდა მოხდეს ყველაფერი და არა ემოციების დონეზე. კონკრეტულად პიროვნებაზე ვერაფერს ვიტყვი. ალბათ, არის კითხვები, რომლებსაც პასუხები გარკვეულწილად არ გაეცა, მაგრამ დღეს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე დანიშვნის საკითხზე რამდენად უნდა იმოქმედოს, ასე ვთქვათ, მისმა სასამართლო პროცესებმა, ეს პარლამენტის გადასაწყვეტია, თუმცა დასკვნა სუს-იდან უნდა მიაწოდონ“, – ამბობს ალადაშვილი.

„აქცენტი“

აბა რა, ბატონო ჰერმან, აბა რა!!!

პრესის თავისუფლება ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან პრინციპსა და ღირებულებას წარმოადგენს, – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე კომენტირებისას განაცხადა.

„პირველ რიგში, ეს არის კონკრეტული საქმე, რომელსაც სასამართლო განიხილავს. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ, როგორც წესი, არ ვაკეთებთ კომენტარს იმ საქმეებზე, რომლებიც სასამართლოს მიერ განხილვის პროცესშია. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, არსებობს უაღრესად მნიშვნელოვანი ღირებულებები, უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპები და აშკარაა, რომ პრესის თავისუფლება ერთ-ერთ ასეთ პრინციპსა და ღირებულებას წარმოადგენს. ამაზე საუბარი იყო ამ კონფერენციაზეც და პრესის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია“, – განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

მეტიჩარა დამცველი კანში არ ეტეოდაო!

21 **ნოემბერს** საქართველოს სახალხო დამცველმა „ვაკის საცურაო აუზს“ სექსისტურ განცხადებასთან დაკავშირებით ზოგადი წინადადებით მიმართა. სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლა „ვაკის საცურაო აუზის ტერიტორიაზე“ გამოკრული წარწერა: **„ძვირფასო ქალბატონებო, კრიტიკულ დღეებში აუზში ჩასვლა აკრძალულია“.** მოპასუხის განმარტებით, მსგავსი აკრძალვა აუზის მოხმარებისას ჰიგიენური ნორმების დაცვის საჭიროებით იყო განპირობებული.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გამოკრული წარწერა გენდერული სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს, ვინაიდან მენსტრუაციული ციკლი არის უნიკალური მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის არის დამახასიათებელი და შესაბამისად, „ვაკის საცურაო აუზს“ მიმართა ზოგადი წინადადებით, რომ ჰიგიენური ნორმების დაცვის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ამკრძალავი წარწერა გენდერულად ნეიტრალური ფორმით ჩამოყალიბდეს.

იხ. 4 გვ.

ᲣᲩᲐ ᲜᲐᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘᲐ!

ᲒᲣᲨᲘᲜ რუსთაველზე ნაცნობ ბიზნესმენს გადავეყარე. სალამ-ქალამის შემდეგ სიტყვა საბიზნესო წარმატებაზე გადავუკარი. ნურაფერს მკითხავო, მითხრა დაბოღმილმა, ფინანსური ინსპექცია შემომიგზავნეს და კუდითრიკამდე გამატყავესო.

— ეტყობა, სერიოზული დარღვევები გქონდა.

— ისეთი არაფერი, მაგრამ სჭირდებოდათ და გამომიჩხრიკეს.

— ვის სჭირდებოდა?

— ერთ მსხვილ მოხელეს (გვარს ვერ გეტყვი), რომელიც წლებია, გადაკიდებული მყავს და საშველს არ მაძლევს.

— უსამართლოდ თუ გჩაგრავს, შენც ადექი და სასამართლოში უჩივლე.

— არ გამოვა, ვიცი, იქაც თავის ხალხი ჰყავს.

— მაშინ სახალხო დამცველთან სცადე.

— უჩა ნანუაშვილთან? თუ ძმა ხარ, ნუ მასწავლი. მაგას იქით უჩივიან თანამშრომლები უკანონო ქმედებების გამო და მე როგორ დამიცავს?

— კარგი ერთი, ალბათ, უგონებენ, თორემ...

— არაფერსაც არ უგონებენ, აგე სასამართლომ უკვე განიხილა მაგის ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსის ილია ჭანტურიას სარჩელი და სამსახურში აღადგინა.

— ჰოო, ეგ მართლაც კაი საქმე ვერ დამართნია ბატონ უჩას, — ვთქვი ხველებ-ხველებით.

— განა მარტო ეგ? ამ დღეებში საინფორმაციო საგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ნანუაშვილს კიდევ არაერთი თანამშრომელი უჩივის უკანონობას.

— კარგი, კარგი, გნებდები, — ავწიე ხელები და ბიზნესმენს დავემშვიდობე. ამასობაში საბურთალოზე მიმავალი ავტობუსიც გამოჩნდა, სასწრაფოდ ავედი, თავისუფალ სკამზე მოვკალათდი და უჩას ნაკეთებ „საქმეთა“ გახსენება ვცადე.

მაგრამ ვიდრე რამეს გავიხსენებდი, პირველ რიგში, ისევ იმან დამაფიქრა, რა სასაცილო ვინმეა ეს ჩვენი სახალხო დამცველი ნანუაშვილი. იმის მაგივრად, რომ მას იქით შესჩივლონ სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლებულმა ადამიანებმა და დაცვა სთხოვონ, ეს თურმე აქეთ ესხმის თავს უპრაგონოდ თავის თანამშრომლებს და სულ პანტაპუნტით ყრის სამსახურიდან!

ჰოდა, იქვე გამიჩნდა კითხვა: ეს ოჯახაშენებული სახალხო დამცველი თუ ასე ჰაიჰარად, უკანონოდ და უმართებულოდ ჩაგრავს საკუთარ თანამშრომლებს, მაშ ვიღას ან ვისგან იცავს ის ხალხს, რიგით ადამიანებს?

დავსვი თუ არა ეს კითხვა, იქვე მეხსიერებაში ამომიტივტივდა უჩა ნანუაშვილის საჯაროდ ნაკეთები განცხადებები, სადაც ის ხშირად, თითქმის ყოველთვის, იცავს არა ხალხის, არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის ინტერესებს.

რატომ, ვითომ უმცირესობის დაცვა კანონმა დაავალა?

არა, რა თქმა უნდა. როგორც ჩანს, ბატონმა უჩამ ასეთი განაწესი საკუთარ თავს თავადვე დაუწესა, თორემ კანონი აბა როგორ დაავალდებულებს სახალხო დამცველს, ხალხს თავი ანებე და მაინცდამაინც უმცირესობის ინტერესები დაიცავიო?!

კარგი, თავი დავანებოთ იმას, რომ სახალხო დამცველი, რომელსაც ევალება როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის ინტერესების დაცვა, იცავს მხოლოდ ამ უკანასკნელთა ინტერესებს, მაგრამ, არ იკითხავთ, ვინ ან რანი არიან ეს უმცირესობები?

რა კითხვა უნდაო, მეტყვით თქვენ, ისედაც ყველამ მშვენივრად ვიცით, დღევანდელ საქართველოში უმრავლესობას ხალხად აღარავინ აგდებს, სახალხო დამცველის მთელი აპარატი, არასამთავრობოები, ტელევიზიების უმეტესი ნაწილი მხოლოდ ლგბტ, ლიბერასტი თუ სატანისტი ჯგუფების უფლებათა დაცვაზეა გადასული.

ეტყობა, ძალიან იჩაგრებიან და იმიტომ, არა? რა თქმა უნდა, იჩაგრებიან, გვეტყვის ბატონი უჩა, შეიძლება ფიზიკური ძალადობით არა, მაგრამ ფსიქოლოგიური ზეწოლით მაინც, აი, თუნდაც ის როგორი ასატანია, რომ საქართველოში ყველას არ სურს, გახდეს პედერასტი, ყველას არ მოსწონს ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ქალის ქალობა და კაცის კაცობა, ქალს არ უნდა გაარეცხინო პერანგი და საცვალი, თორემ ძალადობისთვის შეიძლება ციხეში გამოგამწყვდიონ. არ უნდა გჯეროდეს პატრიარქის და უნდა ღადაობდე ბიბლიაზე. თუ ყოველივე ამას ალმაცერად უყურებ, ესე იგი დასცინი უმცირესობას და ლახავ მის უფლებებს!

ამიტომაც არის უჩა დამცველი მათი დამცრობით ასერიგად შეწუხებულ-გულაჩუყებული. საკმარისია, რომელიმე პედერასტს თმის ღერი ჩამოუვარდეს, ნანუაშვილი მყისვე ქვეყნიერებას შეძრავს, აი, ჩინელებმა რომ ქართველებს თავპირი დაუმტვრიეს, ამაზე კი გატრუნვას ამჯობინებს.

ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში ქრისტიანი ქართველებისგან სხვა მრწამსის ადამიანები დაიჩაგრონ, თორემ ნანუაშვილი მუსლიმთა მიფერებასაც არ ითაკილებს. ყოველ შემთხვევაში, ამისგან თავი რომ დავიზღვიოთ, ბატონმა უჩამ წინასწარვე თადარიგი დაიჭირა და განათლების სამინისტროს მითითება მისცა: ექსკურსიაზე წასული ბავშვები მართლმადიდებლურ ტაძრებში არ შევიდნენ და სკოლებში სანთლები არ დაანთონ, რადგან ამით თურმე ექსკურსიაზე ან სკოლაში მყოფი რომელიმე მუსლიმის უფლებები დაირღვევა...

ამ გაუგებრობის შემყურე ხალხში უჩა ნანუაშვილზე ათასნაირი ზიზილპიპილო ინფორმაცია ვრცელდებოდა: ზოგი ამბობდა — ბაპტისტიაო, ზოგი — იეღოველიო, ზოგი — მორმონების სექტის წევრიაო. „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე, როგორც თვითონ აცხადებს, თურმე დაინტერესდა ხალხში მოარული „ჭორ-მართალით“ და გაარკვია, რომ ნანუაშვილი სინამდვილეში სექტანტური ორგანიზაცია „ქრისტიანთა კავშირის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია(!). ისიც გაიგო, რომ სექტის წევრები იკრიბებიან ქალაქის სადღაც გარეუბან ღრმაღელეში, ხანაც ბაზალეთზე და ყველანაირად ცდილობენ მასში ახალგაზრდობის ჩათრევას.

ამის შემდეგ სულაც არ მიკვირს ხალხის გაოგნება, რომელიც კითხულობს: რანაირად მოხდა, რომ ხალხის მოწონებულ სახალხო დამცველობის კანდიდატს, შესანიშნავ იურისტსა და მამულიშვილს, მრავალშვილიან ოჯახის თავკაცს დავით ლორთქიფანიძეს ამ თანამდებობის დაკავებაზე ხელისუფლებაში უარი სტკიცეს და ეს საპატიო მოვალეობა სექტანტ უჩა ნანუაშვილს ჩაბარეს, რომელიც საქართველოს სამოციქულო ეკლესია ძირს უთხრის და ქვეყანაში რელიგიურ შუღლს აღვივებს, როგორც ჩანს, ჩვენმა ამერიკელმა პატრონებმა არჩევანი სწორედ ნანუაშვილზე გააკეთეს, როგორც სექტანტზე, როგორც ლგბტ და სატანისტი ჯგუფების უფლებათა დამცველზე და ხელისუფლება აიძულეს, მის სახალხო დამცველობას დათანხმებულიყო.

ვის შეუძლია ეს შეცდომა (თუ კი მას შეცდომას დავარქმევთ) გამოასწოროს? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ალბათ განაცხადებს (როგორც ეს ადრე სხვა მსხვილ ფიგურანტებზე განაცხადა), რომ სახალხო დამცველად უჩა ნანუაშვილის დანიშვნით დიდი შეცდომა დაუშვა. რაც მალე მოხდება, მით უკეთესი ქვეყნისთვის.

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲐ

ᲚᲐᲠᲘᲡ „ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲓᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲕᲐᲚᲣᲢᲐᲛ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲡ ᲛᲘᲐᲦ�წᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲘᲡᲘᲪᲐᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲔ�გᲛᲐᲡ ᲒᲐᲐᲡᲐᲯᲐᲠᲝᲔᲑᲡ.

აღნიშნულ განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ეროვნული ვალუტის მცურავი კურსის მერყეობას განვლილ პერიოდში შემდეგი საშინაო და საგარეო მაკროეკონომიკური გარემოებები განაპირობებდა:

1. მეზობელ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ადგილობრივი ვალუტების საგრძნობი გაუფასურება;

2. ბოლო თვეების მანძილზე საქონლის იმპორტის დონის მატების გამო ქვეყნიდან ვალუტის დიდი მასების გადინება, რაც, საექსპორტო ბაზრებზე ფასთაკლების გამო, ექსპორტისგან მიღებული შემოსავლით სრულფასოვნად ვერ შეივსო;

3. ლარის კურსთან დაკავშირებით ნეგატიური მოლოდინების შექმნა, რასაც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მიერ თემის ირგვლივ ატეხილი სპეკულაციური აჟიოტაჟი უწყობს ხელს.

ლარის გაუფასურების მიზეზებთან ერთად, მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებთან სათანადო კონსულტაციების გავლის შემდეგ ამ პროცესის შესაჩერებელი გარკვეული ღონისძიებები დასახეს. მათ შორის, კერძოდ, აღნიშნულია რომ:

1. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებაზე — გაიზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების წილი. მნიშვნელოვნად შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯი, თავად ბიუჯეტი კი სტაბილური ფისკალური გარემოს განმტკიცებაზე იქნება ორიენტირებული.

ანალოგიური პრინციპი იმოქმედებს ასევე მომდევნო წლების ბიუჯეტების დაგეგმისას.

2. უახლოეს დღეებში გაცხადდება ერთობლივი სამოქმედო გეგმა, რომელიც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საბაზრო ეკონომიკის მექანიზმებზე დაფუძნებული კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, ქვეყანაში დოლარიზაციის დონის შემცირებას გულისხმობს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** განაცხადა, რომ ლარის გამყარებისკენ მიმართულ ნაბიჯებს მთავრობა საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთობლივად გაახმოვანებს.

რაც შეეხება ქვეყანაში დოლარიზაციის დონის შემცირებასა და ლარიზაციის დონის ამაღლებას, პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **დიმიტრი ქუმსიშვილის** განცხადებით, მთავრობის სამოქმედო გეგმაში ათამდე პუნქტია გაწერილი. ამის მიზანი კი, უწინარესად, ლარის ყოველთვიურ გაუფასურებასთან დაკავშირებით მოსახლეობაში დაბუდებული შიშის სინდრომის მოხსნაა.

ეს რაც შეეხება მთავრობის პოზიციას ეროვნული ვალუტის გაუფასურების შესაჩერებლად მთავრობის სამოქმედო გეგმის ზოგად მონახაზს, კონკრეტიკა, როგორც ითქვა, მალევე გახდება ცნობილი. თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ დაანონსებულ ნაბიჯებს ექსპერტთა ნაწილი გარკვეული სკეპტიზებით ხვდება. ამ შემთხვევაში, მათი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ **ქვეყანაში დოლარიზაციის პრობლემის გადაწყვეტა ერთი და ორი წლის საქმე არ არის, ეს გაცილებით ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც, ალბათ, ათწლეულზე მეტი დროც კი დასჭირდება.** ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ეკონომიკურ ზრდაზე ზრუნვის დაანონსება არაფერი „ნოუ-ჰაუ“ არ არის — ეს ყოველ წელს, ნებისმიერი ხელისუფლებისა და ნებისმიერი მთავრობის უპირველესი მაკროეკონომიკური გამოწვევაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ **ქვეყნიდან ვალუტის გადინების თვალსაზრისით ნოემბერი განსაკუთრებული თვეა,** რისი მთავარი განმპირობებელი გარემოება ისაა, რომ საბითუმო მოვაჭრეები საახალწლოდ და საშობაოდ მრავალი დასახელების სპეციფიკური საქონლის შემოზიდვას ცდილობენ. ხოლო შემდგომ, ანუ დეკემბრის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, როცა აღნიშნული პროდუქცია სავაჭრო დახლებზე მოხვდება, შესაბამისად, მისი რეალიზებაც საგრძნობლად მოიმატებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წლის მიწურულისთვის უწყებებსა და ორგანიზაციებს ბიუჯეტის წინაშე ფინანსური ვალდებულებები აქვთ შესასრულებელი, ამიტომ ლარზე მოთხოვნილება მათაც ეზრდებათ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ დეკემბერში საქართველოში ტრანშებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ჩარიცხავენ, რაც ვალუტის შემოდინებას მნიშვნელოვნად გაზრდის.

ამდენად, ზემოჩამოთვლილ და, ზოგიერთ სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით, ექსპერტების ერთი ნაწილი დეკემბერში ლარის კურსის გამყარებას ელის, ხოლო გაისიდან კი ამ კურსის გაგრძელება უკვე მნიშვნელოვანწილად მთავრობის მიერ დაანონსებულ ღონისძიებებზე იქნება დამოკიდებული.

თუმცა კი, ამასთან, ამის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მაინც სამამულო პროდუქციის მაღალი ხარისხი, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობისა და, შესაბამისად, საექსპორტო პოტენციალის მატება, შესაბამისად, მეტი ვალუტის შემოდინებაა.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ტრამპი გუნდს კრავს, „კოჭლი იხვი“ კი ევროპას ემშვიდობება



ჩვენს თვალწინ მიმდინარე გლობალური მაშტაბების მოვლენათა მიუხედავად, ისე ვიქცევით, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენ არ გვეხებოდეს. ჯერ ბრიტანული რეფერენდუმის შედეგმა შეარყია მთელი ევროპა, თუმცა არა იმდენად, რომ პანიკა გამოეწვია ევროლიბერალ მმართველ ისტებლიშმენტში, რადგანაც ევროკავშირი მინუს თუნდაც ბრიტანეთი, აშშ-ის მიერ მაინც ნეოლიბერალური იდეოლოგიის ფორპოსტად განიხილებოდა ევროპაში, რომლის დომინანტ სახელმწიფოთა ლიდერები (ფრანსუა ოლანდი, ანგელა მერკელი და სხვები) დარწმუნებულები იყვნენ, რომ თეთრ სახლში შავ ბიჭს თეთრი ქალი შეცვლიდა, ანუ, ალხანას ჩალხანა ჩაანაცვლებდა და ევროკავშირი მხოლოდ „ნაჩალნიკს“ გამოიცვლიდა! ამიტომაც არა თუ ღიად უჭერდნენ მხარს ჰილარი კლინტონს, არამედ შეურაცხმყოფელ ეპითეტებსაც არ იშურებდნენ დონალდ ტრამპის მისამართით, მაგრამ მოხდა სასწაული — ამერიკელმა ხალხმა სწორედ დონალდ ჯონ ტრამპი აირჩია აშშ-ის 45-ე პრეზიდენტად!

ერთადერთი რისი თქმაც ახლავე შეიძლება დანამდვილებით, ის არის, რომ 2016 წლის 9 ნოემბრიდან ახალი დროის ათვლა დაიწყო, რომელიც ოფიციალურად მომავალი წლის 20 იანვარს, აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს გაფორმდება!

როგორი იქნება ეს ახალი დრო, ამას მომავალი გვიჩვენებს?!

თუმცა ერთის თქმა აქაც ახლავე შეიძლება — არავითარ შემთხვევაში ისეთი არ იქნება, როგორიც ბოლო 25 წელიწადია, როცა მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა „ოთხ არაზე“ (არა — სამშობლოს, არა — ეროვნებას, არა — ღმერთს, არა — სქესს) დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა აშშ-ის ბელადობით ჯერ საკუთარ სახელმწიფოში, შემდეგ ლათინურ ამერიკაში, მთელს ევროკავშირში, ევროსაბჭოში შემავალ ქვეყნებში თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში!

და აქ მეტ-ნაკლებობაში არ იგულისხმება მხოლოდ ლგბტ-სექტების გაჯეჯილება ზოგადად და კონკრეტულად ერთნაირსქესიანი ქორწინებების დაკანონება — ესენი მხოლოდ დეტალებია (თუმცა ფრიად მნიშვნელოვანი) იმ საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე, რასაც „4 არა“ ჰქვია. ხოლო მთავარი ინსტრუმენტი ამ გზაზე მავალი გლობალისტ-სატანისტებისა, ე.წ. არჩევანის თავისუფლებაა — „აირჩიე რაც, როგორც და როცა გინდა, ოღონდაც კანონს, საზოგადოებრივ წესრიგს ნუ დაარღვევ“...

აი, ეს ერთი შეხედვით უწყინარი პოსტულატი უდევს საფუძველთა საფუძვლად ე.წ. ადამიანის უფლებებს!

სინამდვილეში კი რა ხდება ამ კანონის მიხედვით?

აღარ არსებობს სინდისი, მორალი, ზნეობა, და სხვა მრავალი რამ, რის გარშემოც იმიტომ ვითარდებოდა ათასწლეულების განმავლობაში კულტურული კაცობრიობა მიუხედავად განსხვავებული რელიგიური მრწამსისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პოსტულატები ყველას მიერ ერთნაირად აღიქმებოდა!

აქედან იყო თუნდაც მსოფლიო ლიტერატურის გმირების ერთნაირი აღქმაც სხვადასხვა ერის მიერ — ვაჟკაცი ფრანგისთვისაც ვაჟკაცი იყო და ინგლისელისთვისაც, ოჯახი თათრისთვისაც წმინდა იყო და ქართველისთვისაც... ერთი სიტყვით, სიკეთეს სიკეთე ერქვა ყველასთვის და ბოროტებას — ბოროტება!

გაიგეთ, ხალხო, რაზე აღმართეს ხელი თანამედროვე გლობალისტ ნეოლიბერალებმა?

მათი აზრით არ არსებობს სიკეთე და ბოროტება, რომელთა შორის ბრძოლაა მთელი კაცობრიობის ისტორია — ამიერიდან მთავარი არჩევანის თავისუფლებაა და კონკრეტული ინდივიდის, გადასაწყვეტია, რას მიიჩნევს სიკეთედ და რას — ბოროტებად!

რა თქმა უნდა, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებისთანავე მყისიერად ვერ გაქრება ლგბტ-ჭირი, რომელიც ეგზემასავით მოსდებია კულტურული კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ჩვენთვის ისიც დიდი შეღავათი იქნება თუ დონალდ ტრამპი მისი წინამორბედისგან და მეტოქე ჰილარისგან განსხვავებით, აშშ-ის მთავარ საგარეო პრიორიტეტად არ გამოაცხადებს მთელ მსოფლიოში პედერასტების უფლებების დაცვას!

ამის იმედი კი მომავალი პრეზიდენტის გუნდის ჩვენს თვალწინ მიმდინარე ფორმირებაა. გუნდის, რომელშიც მტრედებიც არიან და ქორებიც, მაგრამ არც ერთი მომხრე ერთნაირსქესიანი ქორწინებისა და უფრო მეტიც — პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა მართლმადიდებელი ქრისტიანი რაიმს ფრიბუსი!..

მკითხველს შევახსენებ, რომ ტრამპის ტრიუმფს დროსა და სივრცეში დაემთხვა ლიტვის სეიმში „გლეხებისა და მწვანეთა კავშირის“ უმრავლესობით შესვლა, რომელსაც ადგილობრივი თუ დასავლური პრესა პრორუსულ პარტიას უწოდებდა; ბულგარეთის პრეზიდენტი გახდა ასევე პრორუსულობაში ეჭვმიტანილი გენერალი რუმენ რადევი — ორივე ეს ქვეყანა ნატო-ევროკავშირის წევრია და აბა მოლდოვის პრეზიდენტად ასევე პრორუსი იგორ დოდონის არჩევა გასაკვირია?

თუმცა, რას ნიშნავს პრორუსი, გინდაც პროამერიკელი? ვფიქრობ, რომ ეს ტერმინები არასწორია და უნდა ამოვიღოთ ხმარებიდან!

ზემოთ ჩამოთვლილი ბიჭები უწინარესად საკუთარი ერის შვილები არიან, რომლებიც მიხვდნენ, დაინახეს, რომ რუსეთთან კონფრონტაციულ რეჟიმში ყოფნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურს ოკეანისგაღმელ თეთრი სახლის შავ ბინადარს, მისი სამშობლოსთვის კონტრპროდუქტიული და უფრო მეტიც, სახიფათოა!

დონალდ ტრამპის ფაქტორი უეჭველად იქონიებს გავლენას დასავლეთ ევროპაში მომავალ წელს გასამართ არჩევნებზე და იქაც ეროვნულ-კონსერვატიული ძალები მოვლენ ხელისუფლებაში და ამიტომ მათ (თუნდაც მარი ლე პენს, ან ნაიჯელ ფარაჯს) პრორუსები ვუწოდოთ?

შვედეთის სამეფოს საგარეო მინისტრმა, ჩვენში ავადსახსენებელმა კარლ ბილდტმა, ტრამპის გამარჯვებას უკვე უწოდა „ევროპის დასასრული“ და მართლაც გასულ კვირაში ბარაკ ობამას ბერლინში ვიზიტისას, რომელსაც ადრე ხბოს აღტაცებით შეჰყურებდა 200 ათასი გერმანელი, ახლა განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები მიიღეს იქამდეც კი, რომ ე.წ. კანალიზაციის ჭების სახურავები ელექტრო „სვარკით“ დაადუღეს, ხოლო მიმდინარე სამიტის შენობასთან მისასვლელი გზები საიმედოდ გადაკეტეს მოსალოდნელი პროტესტების გამო!

თუმცა სამიტი უწოდო მრგვალ მაგიდასთან სადილად თუ ვახშმად დამსხდარ ბარაკ ობამასა და რამდენიმე ევროპელ ლიდერს, ხმამაღლა ნათქვამია — ამ სურათმა ერთი ეპიზოდი გამახსენა ფილმიდან, „არ დაიდარდო“, სადაც სერგო ზაქარიაძე საკუთარ ქელეხში ქეიფობს — აი, ზუსტად საკუთარ ქელეხში მოქეიფეებს ჰგავდნენ იმ სუფრის წევრები, რომლებსაც, ქურდული ჟარგონით თუ ვიტყვით, მათი „მაყურებელი განაბივით“ საკუთარ თანამდებობებზე ყოფნის დიდი დღე არ უწერიათ!

კიდევ ერთი ანალოგია მახსენდება, ოღონდ ამჯერად სააკაშვილსა და ობამას შორის:

კოჭლი იხვი — ასე უწოდებენ ამერიკის ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტებს, რომლებიც, როგორც წესი, ახლად არჩეული პრეზიდენტების ინაუგურაციამდე, მაინცდამაინც აღარ აქტიურობენ, რათა პრობლემები არ შეუქმნან მომავალ პრეზიდენტს?!

გახსოვთ, ალბათ ჩვენი მიშიკოს კოჭლი იხვობაც: რა მიზანმიმართულად აყენებდა ზიანს ქვეყანას. საგანგებო ბრძანებით როგორ მიანიჭა 40 ათასზე მეტ თურქს საქართველოს მოქალაქეობა, იმაზე, რომ არაფერი ვთქვათ უკანასკნელ თეთრამდე როგორ ამოწურა საპრეზიდენტო ფონდი და პრეზიდენტობის უკანასკნელ დღეს, როგორ „მოხია“ საზღვარგარეთ საპრეზიდენტო თვითმფრინავით!?

ბარაკ ობამაც იგივეს აკეთებს და მისი საბოლოო ვოიაჟი, როგორც ამერიკელი „განაბისა“ ევროპელ „ჰარიფებთან“ (უკაცრავად ამ ჟარგონზე), სხვა არაფერი იყო თუ არა დონალდ ტრამპისთვის, რაც შეიძლება მძიმე მემკვიდრეობის დატოვების მცდელობა რუსეთთან მიმართებაში, რათა ახალმა პრეზიდენტმა ვერ შეძლოს უმთავრესი დანაპირების ასრულება — რუსეთთან ახალი, პრაგმატული ურთიერთობების დამყარება!

იგივე შეიძლება ითქვას უკრაინაზეც, რომელსაც, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „დედა აღარა ჰყავს“ მას შემდეგ, რაც ეთნიკური რუსებით დასახლებულ აღმოსავლეთ უკრაინასთან სამოქალაქო ომი გაჩაღდა, რის გამოც უკრაინამ სამუდამოდ დაკარგა ყირიმი!

დიახ, სამუდამოდ, რადგან ვლადიმერ პუტინმა ამას წინათ განაცხადა, რომ ყირიმის თემა დახურულია და იგი ამ თემაზე არავისთან არ აპირებს მსჯელობას!

ვლადიმერ პუტინი რომ სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის, ეს მთელმა მსოფლიომ იცის და მათ შორის დონალდ ტრამპმაც, რომელმაც გაპრეზიდენტებამდე კარგა ხნით ადრე აღიარა, რომ უკრაინის მიერ ყირიმის დაკარგვა ობამას უგუნური პოლიტიკის შედეგია!

ახლა, უკრაინის „მაყურებელი“ კიდვ ერთი კოჭლი იხვი, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ჩადის გამოსამშვიდობებელი ვიზიტით კიევში, სადაც ალბათ პოროშენკოს მხარზე ხელს მოუთათუნებს და ოსტაპ ბენდერის სიტყვებით, „запад вам поможет“, დაემშვიდობება და უკრაინას „აღარც მამა ეყოლება“...

აი, ასეთ უმძიმეს გეოპოლიტიკურ ფონზე დაიწყო მუშაობა საქართველოს ახალმა, მე-9 მოწვევის პარლამენტმა. თუმცა ძველი რიტორიკით: ნატო, რომელსაც მალე მამა აღარ ეყოლება, ყოველ შემთხვევაში ობამასავით მზრუნველი და აქედან მასში საქართველოს მიღებაზე საუბარი სასაცილოც აღარ არის; ევროკავშირი, რომელსაც თავისი გაჭირვებია და ვიზალიბერალიზაციაზე საუბარიც კი აბსურდია და ყველაზე მთავარი — რუსეთს არ დაველაპარაკებით, სანამ?..

ჰო, სანამ რა, რა, სანამ სოხუმ-ცხინვალს არ დაგვიბრუნებენ?

რუსეთს წინაპირობებს სალაპარაკოდ თვით აშშ-იც კი ვერ უყენებს და საქართველო ვის დაჰკარგვია?

ერთადერთი პატრონი ჩვენი სამშობლოსი ისევ საქართველოს დედა-ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქია, რომელიც მიუხედავად ხნოვანებისა, მომენტს არ უშვებს, რომ მიზეზ-უმიზეზოდ ესტუმროს ჩვენს ერთმორწმუნე მეზობელს, რომელიც ოკეანეს გაღმელმა „მეგობრებმა“ მტრად გადაგვიკიდეს!

აი, ახლაც მისი უწმინდესობა მოსკოვს იმყოფება რუსეთის პატრიარქ კირილის დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავად, სადაც შეიძლება ვლადიმერ პუტინს შეხვდეს!

რაც, ყოველგვარი „შეიძლებას“ გარეშეა ცნობილი, ის გახლავთ, რომ საქართველოს პატრიარქი რუსულ ტაძარში ქართულად აღასრულებს წირვა-ლოცვას 23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულზე!

მეტი, რა ქნას საქართველოს სულიერმა მწყემსმა — მასაც ეტყობა, რომ მხოლოდ უფლის იმედი აქვს, რომელიც არ გასწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, რომელსაც გადარჩენა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად უწერია!

დავით მხეიძე.

რა თქმა უნდა, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებისთანავე მყისიერად ვერ გაქრება ლგბტ-ჭირი, რომელიც ეგზემასავით მოსდებია კულტურული კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ჩვენთვის ისიც დიდი შეღავათი იქნება თუ დონალდ ტრამპი მისი წინამორბედისგან და მეტოქე ჰილარისგან განსხვავებით, აშშ-ის მთავარ საგარეო პრიორიტეტად არ გამოაცხადებს მთელ მსოფლიოში პედერასტების უფლებების დაცვას!

რედაქციისგან: ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და საკუთარი პრინციპული ხმის მქონე ჟურნალისტს **დავით მხეიძეს** გუშინ დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ვუერთდებით მის დღესასწაულს, ვუსურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს, შემოქმედებით წინსვლასა და ჯანმრთელობას, სულიერ მხნეობას. კიდევ დიდხანს ელავდეს მახვილივით მისი კალამი, კიდევ დიდხანს ისმოდეს მისი მართალი, ერისა და ბერისთვის საჭირო ომახიანი შემოძახილი.

მრავალ ამ დღეს მოგასწროს, სამჯერ ოცი წლის დაუდეგარო ბიჭო!

ამბავი დიდი ადამიანისა და მისი ღირსეული შვილიშვილისა...

თოთხმეტი ნოემბრის საღამოს სამეფო უბნის თეატრში დიდი ზეიმი იყო:

სწორედ იქ ძგერდა მთელი საქართველოს გული!

ჩემმა მკითხველმა იცის, რომ საკმაოდ კრიტიკულად განწყობილი ადამიანი ვარ.



მაშ რამ მაიძულა, რომ ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები მეთქვა?

მიზეზი ძალიან საფუძვლიანი იყო:

სამეფო უბნის თეატრში იმ საღამოს შვიდ საათზე შედგა დიდი ქართველი მსახიობის **სერგო ზაქარიაძის** ჩანაწერების წიგნის პრეზენტაცია.

მე უკვე წაკითხული მქონდა წიგნი და უნდა ვაღიარო მთელი შეგნებით, რომ ეს არის სრულიად ქართული თეატრის, უფრო მეტიც, ქართული კულტურის მღელვარე სვინდისის ფეთქვა.

წიგნი საბუთია იმისა, რომ დიდი მსახიობი – სერგო ზაქარიაძე იყო არანაკლებ დიდი ადამიანი და დიდი გულშემატკივარი თავისი უბედური ქვეყნისა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მთავარი განმახორციელებელი წიგნისაც და მისი წარდგენისაც იყო დიდი სერგო ზაქარიაძის ღირსეული შვილიშვილი **ნინო ზაქარიაძე**.

წიგნის წარდგენა უჩვეულო და თანაც ძალიან ბუნებრივი იყო.

თეატრის შესასვლელშივე ბატონი სერგოს მოყვარულ ადამიანებს ასაჩუქრებდნენ წიგნის სამტომეულით.

შემდეგ მსურველებს შეეძლოთ, შეესვათ დიდი მსახიობის ხსოვნისა და სულის განათლებისთვის ქინძმარაულით სავსე სასმისი.

მერე კი ჭეშმარიტი სიურპრიზი, ანუ მოულოდნელი საჩუქარი:

გვიჩვენეს ფილმი, რომელშიც ნაწყვეტები ბატონი სერგოს ნათამაშები კინოროლებიდან გახმოვანებული იყო მის მიერვე სცენიდან დიდებულად წაკითხული ნაწარმოებებით.

თურმე ეს უნიკალური, შესანიშნავი ფილმიც შექმნა ნინო ზაქარიაძემ კინორეჟისორ ანდრო ჭიაურელთან ერთად.

ფილმი იმდენად ბუნებრივი იყო, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კინოროლებში სწორედ ამ სიტყვებით გადმოგვცემდა თავის გრძნობებს ბატონი სერგო...

ფილმის შემდეგ კი ყველა დამსწრეს მიეცა საშუალება, დაეთვალიერებინა ფოტოები, რომლებზეც ასახული იყო დიდი მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი მომენტები და სხვაც მრავალი საინტერესო რამ.

ფოტოებიც, ცხადია, ნინო ზაქარიაძის მიერ იყო არჩეული.

ვუცქერდი მათ და გამახსენდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი სერგო ზაქარიაძე...

და მაშინ ბატონ სერგოსთან ერთად მისი პატარა შვილიშვილიც ვნახე.

რუსთაველის თეატრის მოპირდაპირედ მინერალური წყლების მაღაზია იყო. იქ ბორჯომის გარდა სხვა წყლებიც იყიდებოდა...

სწორედ ამ მაღაზიიდან გამოსულ-



მა დავინახე, რომ რუსთაველის თეატრის წინ სერგო ზაქარიაძე მოდიოდა და ხელჩაკიდული მოჰყავდა ალბათ პირველ თუ მეორეკლასელი შვილიშვილი.

ბატონი სერგო დინჯად, დარბაისლურად მოდიოდა, გოგონა კი მხიარულად მოხტოდა.

და უნებლიეთ თავში მომივიდა ასეთი შედარება: რომ მოდიოდა ძლიერი მუხა და მას ცელქი ნაზი ია მოსდევდა გვერდით.

გავიხსენე ეს სურათი და გამოუთქმელი სიხარული და სევდა ერთად მომაწვა ყელში...

* * *

... **გადავხედე** ყველაფერს, რაც აქამდე დავწერე და მივხვდი, რომ ესაა ამბავი დიდი ადამიანისა და მისი ღირსეული შვილიშვილისა...

რაღაცა კანონზომიერებით, ისე მოხდა, რომ როცა ამ წერილს ვწერდი, ჩემს გვერდითაც იჯდა ჩემი შვილიშვილი პირველკლასელი ზვიადი და კომპიუტერში ნახატ ფილმს უყურებდა.

გამიხარდა, რომ როცა ის გაიზრდება, წაიკითხავს კიდევ ერთ დიდ ქართულ წიგნს –**„სერგო ზაქარიაძის ჩანაწერებს“**, რომელიც მას ბევრ რამეს ასწავლის: სამშობლოსა და თავის საქმის სიყვარულს, სიყვარულს ადამიანებისა, უსაზღვრო პირუთვნელობას, შეუპოვრობას, გაუტეხლობას და, რაც მთავარია იმას, თუ ყოველთვის, ყველგან, და ყველანაირ პირობებში, როგორ უნდა დარჩე ადამიანად...

გურამ პეტრიაშვილი

წყალმომარაგებას ფრანგული კომპანია მოგვიწესრიგებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიორგი კობერიძე ფრანგული კომპანია SUEZ -ის რეგიონული ფილიალის დირექტორს ალან კარბონელს და პროექტების მენეჯერს ჟულიენ გიტეს შეხვდა.

უცხოური კომპანია საქართველოს 7 ქალაქში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით ინვესტიციის ჩადებას გეგმავს.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს წყალმომარაგების კუთხით დღეს არსებული პრობლემები და ამ მიმართულებით პროექტების განხორციელების გზები.

ფრანგული კომპანიის წარმომადგენლებმა კომპანიის დირექტორს წარუდგინეს თავიანთი ხედვა, ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია და სამომავლო თანამშრომლობით გათვალისწინებული სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

SUEZ-ის დელეგაციამ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, რამდენიმე თვის წინათ უშუალოდ მოინახულა ის ადგილები, სადაც კომპანია ინვესტიციის განხორციელებას აპირებს.

თავის მხრივ, ფრანგული კომპანია მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ურბანული განვითარება, წყლის მართვა და ნარჩენების გადამუშავება. SUEZ -ის წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრაქტრუქტურის განვითარების კუთხით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი მასშტაბური პროექტი აქვს განხორციელებული.

როცა არასამთავრობოები ზედმეტს იღებენ თავიანთ თავზე

აიკრძალება თუ არა საქართველოში რუსული პროპაგანდა?

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „Transparency International Georgia“ გამოვიდა ინიციატივით საქართველოში რუსული პროპაგანდის საკანონმდებლო დონეზე აკრძალვის შესახებ.

ამის საფუძვლად წინასაარჩევნო პერიოდში ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მოქმედება იქცა, რომელმაც ქვეყანაში რიგ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს დაუდო საფუძველი. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ადგილობრივი პენსიონერებისთვის რუსული პენსიის გაცემისა და საქართველოში რუსული არმიის დაკანონების წინასაარჩევნო დაპირება, ასევე სატელევიზიო რგოლები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ფოტოსურათების გამოყენებით. ამჟამად „Transparency International Georgia“ „მაუწყებლობის შესახებ“, „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონებსა და საარჩევნო კოდექსში შესატან შესაბამის ცვლილებებზე მუშაობს, რომელიც შემდგომ პარლამენტს გადაეგზავნება.

„შესწორებების მიღების შემთხვევაში ქართველ მაუწყებლებს აეკრძალებათ იმ პროგრამების, რეკლამის და პარტიების წინასაარჩევო რგოლების ტრანსლირება, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დაყოფისა და ოკუპაციის ლეგიტიმაციის ელემენტებს მოიცავს“ – აცხადებს ორგანიზაციის წარმომადგენელი **ლიკა საჯაია**.

მმართველ კოალიციაში უკვე განაცხადეს, რომ მზად არიან, მოისმინონ არასამთავრობო სექტორის წინადადებები. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრმა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„პირადად მე, ისევე, როგორც მთელი მთავრობა, მზად ვარ დიალოგისთვის სამოქალაქო საზოგადოებასთან. ჩვენი პრიორიტეტი ხომ მაქსიმალური ღიაობაა“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემიის“ ანალიტიკოს **გოგიტა ღვედაშვილის** აზრით, რუსული პროპაგანდის აკრძალვის საკითხს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რადგან ეს ადამიანის უფლებებსა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მგრძნობიარე თემებს უკავშირდება:

„გამოხატვის თავისუფლება ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტურ ფასეულობად მიმაჩნია, თუმცა უნდა არსებობდეს პროპაგანდაზე რეაგირების ძალზე ეფექტური და დემოკრატიული მექანიზმები სწორედ იმისთვის, რომ ეს რისკები აღმოიფხვრას“.

როგორც გაირკვა, მისი ორგანიზაცია ამჟამად ასევე მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელიც რუსეთის „რბილი ძალის“ წინააღმდეგაა მიმართული. ღვედაშვილის აზრით, ისინი მეტ სიცხადეს შეიტანენ რუსეთიდან საქართველოში ფინანსური გადმორიცხვების საკითხში და იმაში, თუ რაზე იხარჯება ეს ფული.

კონკრეტულად რაში მდგომარეობს საკანონმდებლო ცვლილებები, როგორ განისაზღვრება პროპაგანდისტული მასალა და როგორი იქნება მისი ფილტრაციის პროცესი, ჯერჯერობით უცნობია.

აჭარას პოლონელი და ჩეხი ტუროპერატორები სტუმრობენ

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში ჩეხ და პოლონელ ტუროპერატორებს რეგიონის ტურისტული შესაძლებლობები გააცნეს. პრეზენტაციას, რეგიონში მოქმედი ტურისტული სააგენტოების წარმომადენლებიც დაესწრნენ. წარდგინების შემდეგ ქართველმა და უცხოელმა ტუროპერატორებმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ჩეხი და პოლონელი ტუროპერატორები აჭარაში ქობულეთის გამგეობის ორგანიზებით 21 ნოემბერს ჩამოვიდნენ და 24 ნოემბრამდე დარჩებიან. ტუროპერატორების ჯგუფს ხელმძღვანელობს პოლონეთში ქობულეთს დამეგობრებული ქალაქის პიეკარი შლონცკეს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი დარიუს გაცეკი. ვიზიტის მიზანია ქობულეთის ტურისტული პოტენციალისა და სასტუმრო ინფრასტრუქტურის გაცნობა. სამი დღის განმავლობაში სტუმრები ქობულეთში არქეოლოგიურ ნაქალაქარს, ისპანის დაცულ ტერიტორიას, მუზეუმს, ციცინთელას, ბლექ სი არენას, ღვინის სახლსა და სხვა ტურისტულ ადგილებს მოინახულებენ.

პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაენა გშრამ გოგბიაშვილმა

71

ნათლის მხედარს მუდამ ახსოვს ერთი ძველი ანდაზა: „ცარიელი კასრი მევრს ხმაურობსო“.

ხშირად ქვეყნად მევრი რამ უსამართლობაა. ადამიანები ისეთ რთულ ვითარებაში ხვდებიან, რომელსაც არ იმსახურებენ, – ეს ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როცა თავს ვერ იცავენ. ხან უგედურება ნათლის მხედრის კარსაც აკაკუნებს.

როს ასეთი რამ შეემთხვევა ხოლმე, ის იტრუნება. სიტყვებზე არ იხარჯება, რამეთუ სიტყვებს არცრა შველა არ ძალუძთ. მევრად სჯობს, წინააღმდეგობისთვის შემოინახოს ძალა, მოთმინება მოიკრიბოს და ამასთანავე არ იგულმავიწყოს, რომ მავანი უჭვრეტს. მავანი ხედავს, რომ უსამართლოდ იტანჯება და არ აპირებს ამ ამბის შერიგებას.

ის მავანი ნათლის მხედარს იმას აძლევს, რაც ყველაზე მეტად ეჭირვება – დროს, ადრე თუ გვიან ყველაფერი იმის სასარგებლოდ შემოტრიალდება.

ნათლის მხედარი მრძენია და ამიტომ არ ლაქლაქებს თავის ამა თუ იმ მარცხის გამო.

72

პირველსავე მრძოლაში შეიძლება რომ გადაუტყდეს მახვილი. მაგრამ ნათლის მხედარი ვალდებულია, რომ ის გატეხილი მახვილიც კარგა ხანს ეყოს საბრძოლველად.

ამა მიზეზის გამო ის თავს არ იტყუებს არც თავისი ძალ-ღონით, არც თავისი ნიჭიერებით და მდგომარეობის მოულოდნელობას საჭიროებისამებრ უმკლავდება. ყველაფერს ამქვეყნად ის ღირსეულად აფასებს.

ხშირად, დიდი რამ განსაცდელის ჟამს, ეშმაკი ყურში უფუჩუნებს: „მაგას ყურადღებას ნუ აქცევ, ეგ უბრალო რამ ჭვრილმანია!“

ზოგჯერ სხვაგვარადაც ხდება. როცა არცრა განსაკუთრებულ რასმე პირი არ უჩანს, ეშმაკი მტკიცე ხმით ეუბნება: „მოიკრიბე მთელი შენი ძალ-ღონე და მთელი შენი ენერგია ამ ვითარების მოგვარებას მოანდომე“.

ნათლის მხედარი ყურს არც უგდებს, რას ჩასჩიჩინებს ეშმაკი: ის ერთია თავისი მახვილის პატრონი.

73

ნათლის მხედარი მუდამ ფხიზლად არის.

ის სხვათ არა სთხოვს, მომაქნევინეთ ჩემი მახვილიო, თავის გუნებისად ამოიჭვდის ხოლმე. ის არცროდის დროს არა კარგავს იმისთვის, რომ ახსნას თავისი ესა თუ ის მოქმედება – ის ერთგულია იმისა, რაც უფლისგან წინასწარ შუბლზე აწერია და ყველაფრის პასუხისმგებელია, რასაც აკეთებს.

ის გარშემო იყურება და ცნობს თავის მეგობრებს.

თუ უკან მიბრუნდა, ეგრევე არკვევს თავის მოწინააღმდეგეებს. იგი ულმობელია ღალატის მიმართ, მაგრამ არცროდის შურს არ აგებს – მხოლოდ იშორებს მუხანათებს და შეორგულებულთ თავისი ცხოვრებიდან და იმაზე მეტს არ ებრძვის, რაც ჩამოსაშორებლად აუცილებელია.

ნათლის მხედარი შავ დღესავით გაურბის გამჩვენებლობას.

ის არის, რაც არის.

74

ნათლის მხედარი იმათ ფსონში არ გაერევა, ვინც იმისთვის ბოროტის მნდომელია.

ამგვარადვე იმას თვალს ვერ მოჰკრავთ ვერც იმ ხალხის საზოგადოებაში, რომელი ხალხიც „მანუგეშებლად“ ევლინება.

იგი იმ ადამიანებსაც გაურბის, ვინც მხოლოდ დამარცხებულს ამოუდგება ხოლმე გვერდში – ამ ცრუმეგობრებს იმისი სისუსტით სურთ ტკბობა. იმათ მხოლოდ ცუდი ამბები მოაქვთ.

ისინი მეგობრულად თავმოკატუნებულნი სულ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე შეურყიონ გულდაჯერებულობა. რაკი დაჭრილსა ხედავენ, ცრემლად იღვრებიან, ეს რა დაგემართაო, სულის სიღრმეში კი ძალიანაც კმაყოფილნი არიან, რამეთუ ნათლის მხედარმა ბრძოლა წააგო. ისინი გაგებაში არ არიან, რომ ესეც ბრძოლის ნაწილია.

ჭეშმარიტი მეგობრები მუდამ იმის გვერდით ტრიალებენ ჭირშიც და ლხინშიც.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-218

75

ნათლის მხედარი ბრძოლას რომ იწყებს, საჯაროდ აცხადებს: „მე ოცნებები მაქვსო“.

რამდენიმე წლის გავლის შემდეგ ის შეიცნობს, რომ სადაც უნდა მისვლა, იქ მივა, და დაჯილდოვდება.

და მაშინ იმას ნაღველი ერევა, რამეთუ იმისთვის ცნობილია სხვა ადამიანების უგედურებანიც, იმათი მიუსაფრობაც, უიღბლობაც და იმედგაცრუებაც, რაც თან სდევს



კაცობრიობის უმრავლესობას, – და გულში უცაბედად უჩნდება აზრი: სულაც არა ვარ იმის ღირსი, რასაც, ალბათ, შევიძენო.

„გაეცი ყოველივე“, – ეჩურჩულება ანგელოზი.

ნათლის მხედარი მუხლს იდრეკს და ღმერთს სთავაზობს მთელ თავის ნადავლს.

ამ ამბის წყალობით ის სულელურ კითხვებს აღარავის არ უსვამს და დანაშაულის გრძნობას თავს არ-თმევს.

76

ნათლის მხედარს ხელთ მახვილი უჭირავს.

ის-და არცვინ სხვა – წყვეტს, რა უნდა ქნას და რა არ უნდა ქნას, რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდეს.

ხანჟამისად ცხოვრება განსაცდელში ჩააგდებს ხოლმე, და სწორედ იმას აშორებს, რაც ყოველთვის უყვარდა. ასეთ წუთებში ნათლის მხედარი ფიქრებში იძირება, და იმის გაგებას ცდილობს, რა არის ეს – ღვთის ნების აღსრულება თუ უბრალოდ თავვერძობა, პირველ შემთხვევაში – თუნდაც აძულებული თუა, რომ გზა დათმოს – ის დაუჩივლელად და უდრტვინველად ემორჩილება თავის ბედს.

უკეთუ ეს დათმობა მავანისა და მავანის ბოროტი განზრახვით მოხდა, ნათლის მხედარი იმას ულმობელ საკადრის პასუხს გასცემს.

ნათლის მხედარს დარტყმის უნარიც შესწევს და არც მიტევების უნარი აკლია. ერთსაც და მეორესაც ის ერთნაირად მარჯვედ იყენებს.

77

ნათლის მხედარი სიტყვა „თავისუფლების“ ხაფანგში არა ხვდება.

თუ თავის ხალხს დაჩაგრულს ხედავს, თავისუფლება საარსებო გარდაუვალობაა. ნათლის მხედარი დაავლებს ხელს მახვილსა და ფარ-დარაკს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მართავს თავისუფლებისთვის, ჩაგვრის წინაშე თავისუფლება უბრალო რამ ცნებაა; დაპირისპირებულია მონობას.

მაგრამ ხან ნათლის მხედარს მიმცროვნებულთაგან ესმის: „მოვრჩები მუშაობას და თავისუფალი ვიქნებიო“, გადის ერთი წელიწადი და იგივე ადამიანები ჩივიან: „ცხოვრება ერთფეროვანი და გულისგამაწვრილებლად უხალისოაო“. ამ შემთხვევაში „თავისუფლება“ სულ სხვა რასმე ნიშნავს – გრძნობათა უქონლობას.

ნათლის მხედარი თავის თავს თავისუფალ კაცად არ მიიჩნევს. ის ლაღია, როგორც უნდა ისე მოიქცევა, მაგრამ ის თავისი ოცნების მონაა.

78

ნათლის მხედარი ბრძოლაში ყოველთვის სხვადასხვაგვარად იქცევა – მეტადრე თუ არც შეტევაა და არც უკან დახევა.



თუ ბრძოლას გამარჯვებამდე არ მივყავართ ანდა არც მარცხით მთავრდება, ნათლის მხედარს ესმის: საჭიროა მოწინააღმდეგესთან ზავის პირობების განხილვა. ორივემ უკვე საკმარისად აჩვენა მახვილის ფლობის თავ-თავისი ხელოვნება და ახლა იმათ ერთმანეთის შეფასება სჭირდებათ.

მოლაპარაკებები ღირსებას მოწმობენ და არა სულმოკლეობას. ეს არის ძალთა თანასწორობა და სტრატეგიის ცვლა.

ზავის დადების გეგმის შემუშავების შემდგომ მეომრები შინ ბრუნდებიან. იმათ არავისთვის არცრა დასამტკიცებელი არა აქვთ რა – ისინი სამართლიან ბრძოლას ეწეოდნენ, ამასთანავე განიმტკიცებდნენ რწმენას.

თითოეულმა იმათგანმა დათმო მცირედი და ამით მოლაპარაკებების ხელოვნებას დაეუფლა.

79

მეგობრები ხშირად ეკითხებიან ნათლის მხედარს, საიდან იძენ შენს ენერგიასო.

„უხილავი მოწინააღმდეგისგან“, – მიუგებს იგი.

მაშინ მეგობრები ეკითხებიან, ვინ არის ისაო.

„ვინ და, ვისი განგმირვაც არ ძალგვიძს“, – უპასუხებს ნათლის მხედარი.

ის შეიძლება რომ იყოს მავანი კბილა ბიჭი, რომელიც ოდესღაც ბავშვურ ჩხუბში მოერია ნათლის მხედარს; ან გოგონა, რომელმაც თერთმეტი წლისამ უთხრა, არ მიყვარხარო; ან მასწავლებელი, რომელმაც ჩერჩეტი უწოდა. დაქანცული და ქანცგაწყვეტილი ნათლის მხედარი იგონებს, ამ უხილავ მოწინააღმდეგეს ჯერეთ ჩემი შემართება არ უნახავსო.

არა, ის სულაც არ ფიქრობს შურისგებაზე, რამეთუ უხილავი მოწინააღმდეგე უკვე აღარ არის იმისი ცხოვრების ნაწილი. ის მხოლოდ ფიქრით არის შეპყრობილი, რომ როგორმე სრულყოფილებას მიაღწიოს, რათა იმისი მამაცობის ამბავი მთელ ქვეყანას მოედოს და იმ ადამიანის ყურამდეც მივიდეს, ვინც შორეულ წარსულში მწარედ ატკინა გული.

ეს გუშინდელი ტკივილია სწორედ ნათლის მხედრის ძალოვნების წყარო.

80

ნათლის მხედრის ცხოვრებაში ყოველთვის არის მეორე ცდა.

სუყოველი სხვა ადამიანის მსგავსად, არც იმას დაჭყოლია დედის მუცლიდან მახვილის ფლობის ხელოვნება. ვინ იცის, რამდენჯერ შემცდარა, სანამ თავის გზა-სავალს იპოვიდა.

ქვეყნად არცვინ მოიძებნება ისეთი მეომარი, რომელსაც, კოცონს მიმჯდარს, შეეძლება თავისი ამხანაგებისთვის თქმა: „მე ყოველთვის სწორად ვიქცეოდიო“. ვინც მსგავს რასმე ამტკიცებს, ის ან სიმართლეს არ ამბობს ანდა ჯერეთ არ უსწავლია თავისი თავის შეცნობა. რამეთუ ჭეშმარიტი ნათლის მხედარი წარსულში ბევრჯერ მოქცეულა არასწორად.

მაგრამ მერე, თავისი გზა-სავალი სიარულში რომ დალია, უკვე მიხვდა, რომ ბედი აუცილებლად შეახვედრებდა იმ ადამიანებს, რომელთა მიმართაც არასწორად მოიქცა.

ასე ეძლევა იმას ოდესღაც ვიღაც-ვიღაცებისთვის მიყენებული ბოროტების გამოსწორების შესაძლებლობა. და ნათლის მხედარი უყოყმანოდ სარგებლობს ამ შესაძლებლობით.

(გაგრძელება იძნება)

SIC! 2016 წლის 10 თვეში ისრაელს თავშესაფარი 3069 კაცმა სთხოვა!

ისრაელი თავშესაფრის მიცემაზე ავტომატურ უარს ეუბნება!

ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს, უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის თავშესაფრის თხოვნაზე ავტომატური უარი შემოიღოს. ამის მიზეზი ის არის, რომ აღნიშნული ქვეყნებიდან ისრაელში თავშესაფრის მინიჭებაზე მოთხოვნა ბოლო ორი წლის განმავლობაში გაიზარდა. მხოლოდ 2016 წლის 10 თვის პერიოდში უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეების მიერ 8574 თხოვნა აღირიცხა ისრაელში თავშესაფრის მისაცემად — 5505 მოთხოვნა უკრაინიდან და 3069 - საქართველოს მოქალაქეებისგან. მაშინ, როცა 2013 წელს ასეთი თხოვნის რაოდენობა მხოლოდ ხუთს შეადგენდა.

საქართველოს მოქალაქეები დევნილის სტატუსის მოთხოვნაში ძირითად მიზეზად სამშობლოში პოლიტიკური რეპრესიების საშიშროებას ასახელებენ. მაშინ, როცა უკრაინელების ძირითადი არგუმენტი რუსეთთან ბრძოლაში ჩართვისგან თავის არიდებაა.

როგორც ისრაელის შსს-ში აღნიშნავენ, ასეთი თხოვნის დიდი ნაწილი შესაძლებელია, უარყოფილ იყოს ყოველგვარი ზედმიწევნით შემოწმების გარეშე. უკრაინელებისა და ქართველებისთვის დევნილის სტატუსზე ავტომატური უარის მიცემა ისრაელს საშუალებას მისცემს, „რესურსები გაცილებით სერიოზული სიტუაციების განსახილველად გაათავისუფლოს“.

თავშესაფრის მიცემაზე ისრაელის უარი საქართველოში ზოგიერთმა ისრაელ-საქართველოს 26-საუკუნოვანი მეგობრობის შელახვად აღიქვა. თუმცა პოლიტოლოგები განმარტავენ, რომ რეალობა სხვაგვარია და ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების მოვალეობაა, იფიქროს საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე აწმყოში და არა — მომავალში ან წარსულში.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ადამიანურ დონეზე ამ ორი ხალხის ურთიერთობა ძალზე მაღალ ხარისხშია და ეს უფრო ქართველი ებრაელების დამსახურებაა, რომლებმაც დაინახეს ქართველების ისტორიული სიკეთე. ზოგადად, ისრაელის სახელმწიფოც აღნიშნავს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ებრაელების დევნა არ განხორციელებულა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ებრაელებმა მათ ქვეყანაში შესულ ნებისმიერ პირს გაულონ კარი.

„ისრაელის ხელისუფლების გადმოსახედიდან, ეს გადაწყვეტილება სწორი და გამართლებულია. ჩვენც არ უნდა გვინდოდეს, გავაღოთ კარი და, ვისაც უნდა და, როგორც უნდა, ისე შემოვიდეს საქართველოში და მიიღოს ჩვენი მოქალაქეობა. ყველა ქვეყანა ცდილობს, დაიცვას არა მარტო საკუთარი საზღვრები, არამედ საკუთარი საზოგადოებაც და ზედმეტი ტვირთით არ დატვირთოს სახელმწიფო. ცხადია, ისრაელის გადაწყვეტილება თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით ცუდია ქართველებისა და უკრაინელებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ისრაელის ხელისუფლება თვლის, რომ ეს ზედმეტი პრობლემაა მათთვის და ცდილობს ამ პრობლემისგან თავის არიდებას.

მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა კარგია, მაგრამ ის საუკუნეების კუთვნილებაა. დღეს რა პრობლემაც აქვს ისრაელს, ის უნდა გადაწყვიტოს. ხელისუფლების მოვალეობა სწორედ ისაა, იფიქროს საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე აწმყოში და არა მომავალში ან წარსულში“, - აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით ისრაელის უარი მარტივი ასახსნელია. კერძოდ, ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა როდესაც წესდება, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებს ერთმანეთთან მიმართებით პრობლემები აღარ აქვთ. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქისთვის თავშესაფრის მიცემა ნიშნავს, რომ პოლიტიკური დევნის ქვეშ არის ადამიანი იმ ქვეყანაში, რომელთანაც ისრაელს სავიზო რეჟიმი არა აქვს და მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს.

„ისრაელს საქართველოს მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მიცემაზე უარი რომ არ ეთქვა, ეს სრული აბსურდი გამოვიდოდა. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ უვიზო რეჟიმი დაგვიწესდება ევროკავშირთან, იქაც იგივე მოხდება. ავტომატურ რეჟიმში ხდება ეს ყველაფერი. პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა აბსურდია ასეთ ქვეყანაში. გასაგებია, რა მოტივსაც ასახელებენ ქართველები, ისინი იშველიებენ სამშობლოში პოლიტიკური რეპრესიების საშიშროებას, მაგრამ ძალიან სასაცილოა, პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვონ იმ ქვეყანაში, რომელთანაც საქართველოს უვიზო მიმოსვლა აქვს“, — განმარტა გია ხუხაშვილმა.

მანანა ნოზაძე

კალიფორნია დამოუკიდებლობას მოითხოვს

„ლოს-ანჯელეს თაიმსის“ ინფორმაციით, საინიციატივო ჯგუფმა შტატის პროკურატურას რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით უკვე მიმართა. ისინი

ბრიტანული რეფერენდუმის ანალოგის, ე.წ. „კალიქსითის“ ჩატარებას 2019 წლისთვის მოითხოვენ. პეტიციას ხელი 13 ათასზე მეტმა ადამიანმა უკვე მოაწერა. ინიციატივამ მას შემდეგ გაიჟღერა, რაც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელთა კანდიდატმა დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა. ჰილარი კლინტონის დამარცხებას ლოს-ანჯელესში მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა.

სკანდალური კანონპროექტი თურქეთში

თურქეთის პარლამენტში სკანდალური კანონპროექტი უკვე შევიდა. საკანონმდებლო ცვლილება არასრულწლოვანებთან სექსისთვის პასუხისმგებლობის გაუქმებას ითვალისწინებს, თუმცა არასრულწლოვანებთან სექსუალური კავშირის დამყარებისთვის მამაკაცები იმ შემთხვევაში არ დაისჯებიან, თუ ისინი გოგონებს ცოლად მოიყვანენ. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ამ გზით არასრულწლოვანთა გაუპატიურების ლეგალიზებას ცდილობს, რაც დაუშვებელია.

◎ **გერმანელი ტურისტის შთაბეჭდილებები**

მოგზაურობა საქართველოში — ქუთაისიდან სტეფანწმინდამდე

გერმანიის გაზეთ „Neuburger Rundschau“-ში (ბავარია), რომელიც მედიაჰოლდინგ „აუგსბურგერ ალჰემაინე“-შია გაერთიანებული, გამოქვეყნდა გერმანელი ტურისტის ბასტიან ზიუნკელის შთაბეჭდილებები, საქართველოში ავტომობილით მოგზაურობის დროს.

პუბლიკაცია იწყება სტეფანწმინდაში გაგონილი ისტორიით:

„არავინ იცის, საიდან გაჩნდა ყაზბეგის მთის ძირას გაშენებულ ამ პატარა ქალაქის ტიპის დასახლებაში სპარსელი ორი აქლემით, რომელსაც რუსეთში გადასვლა უნდოდა, მაგრამ რუსმა მესაზღვრეებმა უკან დააბრუნეს. რადგანაც მან ენა არ იცოდა, იგი ადგილობრივ მცხოვრებლებს ხელების მეშვეობით ელაპარაკებოდა, მისი აქლემებით კი ტურისტები ერთობოდნენ. შემდეგ კი იგი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა“, — წერს ავტორი და აღნიშნავს, რომ პრინციპში, საქართველოსთვის უძველესი დროიდანვე აქლემები უცხო ცხოველი არ არის, რადგან ეს ქვეყანა კავკასიაში, კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარეობს, ირანთან და ახლო აღმოსავლეთთან ახლოს.

გიდი ცოტნე, რომელიც „ინგლისურ ენაზე მკვეთრი აქცენტით ლაპარაკობს“, სტატიის ავტორს ბასტიან ზიუნკელს ქუთაისის აეროპორტში დახვდა. **„მას 1980-იანი წლების ბუნდესვერის ჯარისკაცის ძველი ქურთუკი ეცვა, სპორტული მაისური წარწერით „ბერლინი“. ერთმანეთს ხელს ვართმევთ, ვეცნობით და მანქანაში — მინივენში ვსხდებით, მძღოლს გიორგი ჰქვია. მეორე დღეს ქუთაისს ვათვალიერებთ, რომელიც კოლხიდის დაბლობზე მდებარეობს და მას ძველი ბერძნები აიას უწოდებდნენ. აქ ინახავდა კოლხას მეფე აიეტი ოქროს საწმისს, რისთვისაც ელადიდან იაზონი ჩამოვიდა, აქ მოხნა მან მიწა ცეცხლისმფრქვეველი ხარებით და საბოლოოდ წაიღო საწმისი, თან მომხიბლავი მედეაც გაიყოლა“.**

ქუთაისიდან გერმანელი ტურისტი აღმოსავლეთ საქართველოში მიემგზავრება.

„ავტობანზე მოვდივართ. გზის ახლოს ბევრი მიტოვებული, კომუნისტების დროინდელი ფაბრიკა-ქარხნის შენობები მოჩანს, მოტოვებული სამშენებლო მოედნებია. ცოტნე „ბნელ დროს“ იხსენებს, 1990-იან წლებს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, როცა საქართველოს (სხვა რესპუბლიკებიდან) გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყდა. ცოტნე ჰყვება ქვეყანაში გამეფებულ ქაოსზე და ქუჩურ გარჩევებზე, მექრთამე პოლიციელებსა და გამყიდველ პოლიტიკოსებზე, უკიდურეს გაჭირვებასა და გაუსაძლის მდგომარეობაზე. თუ დღეს თქვენ რომელიმე ქართველს დღევანდელ საქართველოს მიღწევებზე შეეკითხებით, იგი გიპასუხებთ კასპიის გაზსადენსა და ჰესების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე...

თბილისში და საერთოდ, სხვა ქალაქებშიც ძალიან ბევრია პოლიციის გამჭვირვალე, მინის შენობები. „ეს წინა პრეზიდენტის დამსახურებაა, ასეთი რამ არც ერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში არ არის“, — ამბობს ცოტნე. **ერთ დღეს გაათავისუფლეს პოლიციელთა 95% და ახალი კადრები აიყვანეს, ამერიკულ ყაიდაზე ჩააცვეს და ასწავლეს. იყო თუ არა დაშვებული შეცდომები? რა თქმა უნდა, იყო — „ნახევარი ნახევარზე“, მაგრამ მას შემდეგ ქართველები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. პოლიცია ხალხს იცავს.**

მაგრამ მდიდარი დასავლეთი საქართველოს მიმზიდველ დასასვენებელ ქვეყნად მაინც არ აღიარებს. ყოველ შემთხვევაში, ბევრ ევროპელს საქართველო ისევ 90-იანი წლების ქვეყნად წარმოუდგენია, როცა უწყვეტი პოლიტიკური კრიზისები ვითარდებოდა. რა თქმა უნდა, ამჟამად სულ სხვა სიტუაციაა, მაგრამ მათ ხსოვნას მაინც ნეგატიური ამბები შემორჩა.

ჩვენ საქართველოს სამხედრო გზაზე ვუხვევთ. ავტობანი ჩვეულებრივ გზატკეცილად იქცა. ვჩერდებით და გზის პირზე ნაზუქს (თაფლით დამტკბარ პურს) და ჩურჩხელას (თხილისა და ნიგვზის შიგთავსის მქონე კანფეტის მსგავს გრძელ ნაწარმს) ვყიდულობთ... ვათვალიერებთ ანანურს, ჟინვალის წყალსაცავს, არაგვის პირზე საბჭოთა ინტერნაციონალიზმის ყოფილ ძეგლს. გზებზე ბევრ ცხვარს და ძროხებს ვხვდებით, რაც მოძრაობას აბრკოლებს. და ბოლოს გამოჩნდა მომხიბლავი სტეფანწმინდა, ყაზბეგის მთა და გერგეტის მონასტერი. მივედით იქ, რითაც დავიწყეთ...“, — ასე ამთავრებს სტატიას ავტორი.

მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“

თბილისი თუ ტიფლისი?

საქართველოს დედაქალაქის სახელწოდება „ტიფლისი“ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან თარიღდება, როცა ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ქალაქს „თბილისი“ ოფიციალურად 1936 წელს ეწოდა. გერმანია ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელიც ძველ, რუსეთის იმპერიის დროინდელ სახელწოდებას — „ტიფლისს“ იყენებს, რაც ქართველ პატრიოტებს არ მოსწონთ. თბილისი „თბილ წყლებს“ ნიშნავს და მილიონნახევრიანი ქალაქის დაარსების მითოლოგიურ ისტორიას უკავშირდება. თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა გოგირდის თერმული აბანოები.

ქობულეთს საერთაშორისო სტანდარტების ნაგავსაყრელი ექნება

გუშინ აჭარის მთავრობის აპარატში ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომას უძღვებოდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე. ეკონომიკურ საბჭოზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს და ეკონომიკური საბჭოს წევრ მინისტრებს ქობულეთის ნაგავსაყრელის პროექტის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მინისტრის თქმით, ამ ეტაპზე ცეცხლაურის ნაგავსაყრელის ტერიტორის განსახლების გეგმაზე მუშაობა დასრულებულია.

ქობულეთში, სოფელ ცეცხლაურში, საერთაშორისო სტანდარტების ნაგავსაყრელის მოწყობა 2018 წლის ზაფხულში დასრულდება. აღსანიშნავია, რომ პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 7 მილიონ ევროს შეადგენს, საინდანაც 3 მილიონი ევრო EBRD-ს მიერ იაფი სესხის ფარგლებში გამოიყოფა, ხოლო 4 მილიონი ევრო გრანტის სახით შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.

ნაგავსაყრელის პროექტი ითვალისწინებს ახალი სანიტარიული ნაგავსაყრელის პოლიგონისა და მისასვლელი გზის მშენებლობას, ასევე ბათუმისა და ქობულეთის არასტანდარტული მოქმედი ნაგავსაყრელების ეტაპობრივ დახურვას.

იმიტირებული ღვინოები რუსეთის კომპანიაში

სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ერთობლივი ძალისხმევით, რუსეთის ღვინის ბაზარზე ოპერირებადი ერთ-ერთი მსხვილი კომპანია „აგორას“ ონლაინ-გაყიდვებიდან ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების ღვინის იმიტაციით წარმოებული ღვინო ამოიღეს.

2016 წლის სექტემბრში ღვინის ეროვნულ სააგენტოსათვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია „აგორა“ ქართული ღვინის დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების – „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“ – იმიტაციით, კრასნოდარის მხარეში წარმოებული ღვინის რეალიზაციას ახდენდა. კერძოდ, სარეალიზაციოდ შეთავაზებული პროდუქტის ეტიკეტებზე დატანილი იყო აღნიშნვნა „ХВАНЧМАРАУЛИ“.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ერთობლივი მუშაობის შედეგად, კომპანიის ონლაინ გაყიდვებიდან ამოღებულია ქართული ღვინის დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების –„ხვანჭკარასა“ და „ქინძმარაულის“ იმიტაციით ეტიკეტირებული ღვინო.

„აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ 2016 წელს „საქპატენტის“ მიერ რუსეთის ფედერაციაში სსიპ ღვინის ეროვნულისა-აგენტოს სახელზე დარეგისტრირდა ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“. ღვინის ეროვნული სააგენტო კვლავაც განაგრძობს მუშაობას ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო დაცვის კუთხით“ – აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ ანდრო ასლანიშვილმა.

წყალბადზე მომუშავე ავტომობილების სერიული გამოშვება მომავალი წლიდან დაიწყება

მომავალი წლიდან წყალბადზე მომუშავე ავტომობილების სერიული გამოშვება დაიწყება. იაპონური მედიის ცნობით, ავტო-გიგანტი „ტოიოტა“ (Toyota) მსოფლიო ისტორიაში პირველი ავტომწარმოებელი იქნება, ვინც წყალბადზე მომუშავე ავტომობილების სერიულ გამოშვებას იწყებს. კერძოდ, წყალბადის სედანის „Mirai“-ს გაყიდვები, 2016 წლის დეკემბრიდან იაპონიის შიდა ბაზარზე დაიწყება.

136 ცხენის ძალის მქონე ელოქტროძრავიან ,,Mirai“-ს, რომელიც ელექტროქიმიურ ძრავში წყალბადის დაჟანგვის რეაქციით გამოყოფილ ენერგიაზე იმუშავებს, წყალბადის ავზის ერთი გავსება 650 კილომეტრის გარბენის საშუალებას მისცემს და ამ საწვავის ღირებულება ბენზინზე გაცილებით იაფი იქნება.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ ავტომობილის საბაზრო ფასი 60 ათას დოლარამდე იქნება, თუმცა იაპონიის ხელისუფლება თითოეულ მყიდველს ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილის (რომელიც მავნე გამონაბოლქვის ნაცვლად სუფთა წყალს გამოყოფს) შეძენისათვის 17 ათას დოლარამდე სუფსიდიას გამოუყოფს.

აღსანიშნავია, რომ მოკლე ხანში კიდევ ერთი იაპონური ავტომწარმოებელი Honda აპირებს, საკუთარი მომხმარებლების წინაშე წარსდგეს წყალბადის ავტომობილის ,,FCV“ სერიული მოდელით.

საქმე №1/86-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 15 ნოემბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **მონიკა კიკალეიშვილი, ირაკლი აბშილავა**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 25 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე მონიკა კიკალეიშვილისა და ირაკლი აბშილავას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 29 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და მონიკა კიკალეიშვილს შორის დაიდო №121482112 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის

თანახმად შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 4300 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 66 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

2014 წლის 29 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ირაკლი აბშილავას შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მონიკა კიკალეიშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ირაკლი აბშილავას ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მონიკა კიკალეიშვილსა და ირაკლი აბშილავას მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მონიკა კიკალეიშვილი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე ირაკლი აბშილავა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, ხოლო სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მონიკა კიკალეიშვილსა (პირადი №39001006377) და ირაკლი აბშილავას (პირადი №01010011480) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. მონიკა კიკალეიშვილსა და ირაკლი აბშილავას განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე მონიკა კიკალეიშვილსა და ირაკლი აბშილავას ეცნობოთ, რომ 2016 წლის 12 დეკემბერს 14:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით მონიკა კიკალეიშვილისა და ირაკლი აბშილავას მიმართ.

5. მონიკა კიკალეიშვილსა და ირაკლი აბშილავას ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ხელბურთი

კიდევ ერთხელ დაგვაფასეს

სენტ-ვოლფგანგში (ავსტრია) დასრულდა ხელბურთის ევროპული ფედერაციის კონგრესი, სადაც საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ მიიღო ტოპ ორგანიზატორის დიპლომი, ხოლო ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე აირჩიეს ევროპის ფედერაციის სააპელაციო სასამართლოს წევრად.

საქართველოს კონგრესზე წარმოადგენდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე და პრეზიდიუმის წევრი, EHF-ის დელეგატი თამაზ თევზაძე.

გვესაუბრება ზურაბ კაკაბაძე: „კონგრესი დაემთხვა ევროპის ხელბურთის ფედერაციის (EHF) 25 წლისთავს და ეს თარიღი საგანგებოდ აღინიშნა კიდეც. ახალი პრეზიდენტი, ავსტრიელი მიხაელ ვიდერერი დაარსების დღიდან ორგანიზაციის გენერალურ მდივნად მუშაობდა, ახლა კი ხელბურთის ევროპული ფედერაციის ისტორიაში რიგით მეოთხე პრეზიდენტი იქნება. მის წინამორბედს, ფრანგ ჟან ბრიოს კანდიდატურის წამოყენების უფლება აღარ ჰქონდა, რადგანაც მას პრეზიდენტობისთვის ასაკობრივი ცენზი შეეხო.

მნიშვნელოვნად შეიცვალა აღმასკომი. ვიცე-პრეზიდენტი იქნება მონტენეგროელი პრედრაგ ბოჟკოვიჩი, ხაზინადარი – ჰენრიკ ლა კური (დანია), საშეჯიბრო კომისიის შეფი – ბოჟიდარ ჯურკოვიჩი (სერბეთი), მეთოდური კომისიისა – ერჟი ელიაში (პოლონეთი), პლაჟის ხელბურთის – ოლე ორსტადი (ნორვეგია). მათ გარდა, აღმასკომის წევრები არიან უნგრელი გაბრიელ ჰორვატი, შვედი სტეფან ლიოვგრენი და ლატვიელი ანრის ბრენჩანსი.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, პირველად EHF-ის ისტორიაში, ევროპის ფედერაციის ერთ-ერთ სტრუქტურაში ქართველიც იმუშავებს – საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე აირჩიეს EHF სააპელაციო სასამართლოს წევრად.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ კონგრესის დასკვნით სესიაზე აღნიშნეს გამორჩეული ფედერაციების ღვაწლი ხელბურთის განვითარების საქმეში. სულ 6 ასეთი პრიზი დარიგდა:

სანაკრებო დონეზე (ეროვნული და ასაკობრივი) საუკეთესოებად დაასახელეს დანია (2014 წელს) და საფრანგეთი (2015), პლაჟის ხელბურთში საუკეთესოდ აღიარეს ესპანეთი, ქალთა ხელბურთში მიღწეული პროგრესისთვის კი ჯილდო მიიღო რუმინეთის ფედერაციამ.

შეჯიბრებების საუკეთესო ორგანიზატორებად აღიარეს: პლაჟის ხელბურთში – პორტუგალიის ფედერაცია, ხოლო კლასიკურ ხელბურთში – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია, ვინც უმაღლეს დონეზე გამართა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი 2015 წელს, ქალთა მსოფლიო თასის გათამაშება და ევროპის თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატი 2016 წელს. სპეციალური დიპლომი გადმოგვცეს აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ჟან ბრიომ და საშეჯიბრო კომისიის თავმჯდომარემ ლეოპოლდ კალინმა.

სამშაბათს თბილისში გვესტუმრება ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (IHF) სპეციალური კომისია – საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე პერ ბერტელსენი (დანია), ასევე მარკო ტოზი ბრანდი (იტალია) და მარეკ გორალჩიკი (პოლონეთი). ვიზიტის თემაა 2017 წლის მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატი, რომელიც აგვისტოში საქართველოში უნდა გაიმართოს პლანეტის 24 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით.

ბერტელსენთან და გორალჩიკთან პირველი სამუშაო შეხვედრა უკვე გვქონდა სენტ-ვოლფგანგში.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

კლინსმანი და აშშ გაიყარნენ



ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებში იურგენ კლინსმანის საგა დასრულდა. ამის შესახებ აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდი გვამცნობს. გერმანელი სპეციალისტი დაკავებული თანამდებობიდან მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარუმატებელი სტარტის გამო გაათავისუფლეს.

იანკებმა საწყის ორ ტურში ქულაც ვერ მოიპოვეს – დამარცხდნენ მექსიკისა და კოსტა რიკის ნაკრებებთან.

იურგენ კლინსმანი აშშ-ს ნაკრებს 2011 წლის 19 ივლისიდან მოყოლებული ხელმძღვანელობდა და ხსენებული 5 წლის განმავლობაში, ყველაზე დასამახსოვრებელი, რაც გუნდს მიაღწევინა, 2014 წლის მუნდიალზე მერვედფინალი იყო.

გიორგი შოთაძე

◎ ჭადრაკი

სენსაცია ოკეანის გაღმა

ნიუ-იორკში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, სადაც ერთმანეთს მოქმედი ჩემპიონი მაგნუს კარლსენი და ტიტულის მაძიებელი სერგეი კარიაკინი ხვდებიან, მერვე ტურის პარტია გათამაშდა. აღნიშნულ ტურში სენსაციური შედეგი დაფიქსირდა: პრეტენდენტმა კარიაკინმა, რომელიც აქამდე დაცვითი თამაშით იყო დაკავებული, ამჯერად გამარჯვების მოპოვება შეძლო და სერიაში 4,5:3,5 დაწინაურდა.

გუშინ დასვენების დღე იყო. მოჭადრაკეები მორიგ მეცხრე პარტიას დღეს ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ამ დაპირისპირებაში 12 პარტიის ჩატარებაა დაგეგმილი.

ბეჟან დოლიძე

◎ აღიარება

◎ ფრენბურთი

ქალა ერთობაშია

გაისად სექტემბერში საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ქალ ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს.

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებით გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში ევროპის ფრენბურთის ფედერაციასა და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას შორის ოფიციალური ხელშეკრულება გაფორმდა.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრ ბორიჩიჩმა და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჩაჩუამ. ხელშეკრულების გაფორმებას დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ტარიელ ხეჩიკაშვილი და თბილისის მერი დავით ნარმანია.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მხარეები ბაქოში გაემგზავრნენ, სადაც ევროპის ჩემპიონატის ორგანიზებასთან დაკავშირებით ოფიციალური შეხვედრები და მიღებებია დაგეგმილი.

დღეს გაიმართება შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან, ხოლო ხვალ შედგება ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრების მეტოქეები გაირკვევა.

ევროპის ჩემპიონატში სულ 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. თბილისი B ჯგუფის მატჩებს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრები ითამაშებს. შეხვედრები ახალ სპორტის სასახლეში 2017 წლის 20-23 სექტემბერს გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია მსოფლიოს 160 ქვეყანაში განხორციელდება.

ბადრი იაშვილი

◎ სამართალმა პური ჭამა

UWW-მ გოგშელიძეს „ვერცხლი“ მიანიჭა



ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანება UWW-ს გადაწყვეტილებით, საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ გიორგი გოგშელიძეს ვერცხლის მედალი გადაეცემა. ქართველმა მოჭიდავემ ნახევარფინალში ყაზახეთის სახელით მოასპარეზე თაიმურაზ თიგიევთან დათმო შეხვედრა, თუმცა, განმეორებით დოპინგ-სინჯში თიგიევს აკრძალული პრეპარატის ტურინაბოლის კვალი აღმოუჩინეს, რასაც მისი შედეგის ანულირება მოჰყვა, ვერცხლის მედალი კი გოგშელიძეს მიენიჭა. ქართველი, თავის მხრივ, ბრინჯაოს მედალს კუბელ მიშელ ბატისტას „უფეშქაშებს“, რომელმაც მეხუთე ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა.

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებამ (UWW) მას შემდეგ მიიღო ოლიმპიური თამაშების შედეგების გადახედვის გადაწყვეტილება, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) 26 ოქტომბერს და 17 ნოემბერს პეკინის და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეთა შავი სია გამოაქვეყნა. მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს WADA-ს რეგლამენტით დოპინგ-სინჯები 10 წლის განმავლობაში ინახება, რადგან შემოწმების ახალი მეთოდიკის და ტექნოლოგიის გამოჩენის შემთხვევაში მისი ხელახლა გადასინჯვა მოხდეს.

დისკვალიფიცირებულ სპორტსმენთა შავ სიაში 3 თავისუფალი და 3 ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მოხვდა. როგორც ადრე გაცნობეთ, თავისუფალ მოჭიდავეთაგან ძმებ სოსლან და თაიმურაზ თიგიევებს ჩამოერთვათ მედლები. 74 კგ-ში სოსლანის ვერცხლის მედალი ბელარუსის სახელით მოასპარეზე მურად გაიდაროვს გადაეცა, რომლის ბრინჯაოს მედალი, თავის მხრივ, რუმინელ სტეფან გეორგიტას მიენიჭა.

დოპინგის მიღებაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილის ბესიკ კუდუხოვის სინჯი აღარ გადაიხედება, რადგან საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გადაამოწმოს ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ ბესიკ კუდუხოვის B სინჯი. შეგახსენეთ, რომ კუდუხოვი 2013 წელს ავტოავარიის შედეგად დაიღუპა და ინდოელმა ბრინჯაოს პრიზიორმა იოგეშვალ დუტმა თავიდანვე უარი განაცხადა კუდუხოვის ვერცხლის მედლის მიღებაზე.

17 ნოემბერს IOC-ის მიერ გამოქვეყნებულ შავ სიაში სამი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეც მოხვდა: პეკინის ოლიმპიური თამაშების ფინალისტები, აზერბაიჯანელი ვიტალი რაჰიმოვი (60) და რუსი ხასან ბაროევი (120), ასევე ბრინჯაოს პრიზიორი, ყაზახი ასეტ მამბეტოვი (96)

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჯანდაცვა

„გამოიყენე ანტიბიოტიკები ფრთხილად“

„გამოიყენე ანტიბიოტიკები ფრთხილად“ — ეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო-ს) ერთ-ერთი სლოგანია. ანტიბიოტიკების შესახებ ინფორმირებულობის მსოფლიო კვირეულს საქართველოც უერთდება.



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **ამირან გამყრელიძე** ანტიბიოტიკების არასწორ გამოყენებას გლობალური ჯანმრთელობისთვის უზარმაზარ გამოწვევად მიიჩნევს.

მისი თქმით, ანტიბიოტიკების აღმოჩენამ მედიცინაში უზარმაზარი გადატრიალება მოახდინა, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, მაგრამ არასწორმა და ზედმეტმა გამოყენებამ კაცობრიობა მეორე უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. საუბარია იმაზე, რომ მთელ რიგ ანტიბიოტიკთა მიმართ რეზისტენტულობა განვითარდა. ეს კი ნიშნავს, რომ ანტიბიოტიკი ვეღარ მოქმედებს მიკრობზე და ხშირად დაავადების გართულებისა თუ ავადმყოფის დაღუპვის მიზეზი ხდება. ამიტომ ამირან გამყრელიძის რეკომენდაციაა, ანტიბიოტიკები ძალიან ფრთხილად დაინიშნოს და არ გამოიყენონ ყველანაირი ინფექციისა თუ ვირუსული გრიპის დროს, ვინაიდან ისინი ვირუსებზე არ მოქმედებენ.

საქართველოში ჯანმო-ს წარმომადგენელი **მარიან ივანუშა** აცხადებს, რომ, თუკი ანტიბიოტიკები ძალას დაკარგავენ, მაშინ შეუძლებელი იქნება საბაზისო ინფექციებისგან განკურნება და ბევრი ადამიანი დაიღუპება.

ჯერ კიდევ 2013 წელს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აღიარებდნენ, რომ ათიდან ცხრა შემთხვევაში ანტიბიოტიკები არასწორად ინიშნებოდა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მაშინდელი მოადგილე **მარიამ ჯაში** ამბობდა, რომ იმერეთში ჩატარებული პილოტური კვლევის თანახმად, დანიშნული 10 წამლიდან 9 საერთოდ არ იყო საჭირო პაციენტისთვის. ანტიბიოტიკების ზედმეტად გამოყენების ერთ-ერთ მიზეზად მარიამ ჯაში ექიმების დაბალ კვალიფიკაციას ასახელებდა. ექიმების გარდა, სცოდავდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც თვითმკურნალობას მიმართავდნენ. ასეთების რიცხვი საქართველოში ბევრი იყო.

ანტიბიოტიკების ხშირი გამოყენება მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. მათი მოხმარება ბევრ ქვეყანაშია გახშირებული. ანტიბიოტიკის ხანგრძლივად მიღება კლავს ნაწლავში სასარგებლო ბაქტერიებს და არღვევს საჭმლის მონელების პროცესს. ზოგიერთი ანტიბიოტიკი მოქმედებს თირკმლის ან ღვიძლის ფუნქციაზე, იწვევს დიარეას და სხვა.

ნევროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ თოიძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ანტიბიოტიკებთან მიმართებით აუცილებელია სამი მთავარი პირობის დაცვა. პირველი, ანტიბიოტიკი უნდა მიიღონ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით და არა ექიმის უბრალო ნათქვამით. მეორე, განსაზღვრულ ვადაზე მეტი ხნით ანტიბიოტიკის მიღება დაუშვებელია; მესამე, ანტიბიოტიკის ხშირი გამოყენებით რეზისტენტობა ვითარდება, მისი ეფექტი სუსტდება და იზრდება დაავადების მაჩვენებელი. ამიტომ ხელაღებით ანტიბიოტიკის გამოყენება დაუშვებელია.

ოთარ თოიძის აზრით, ანტიბიოტიკების ჭარბად მოხმარების აღსაკვეთად რეცეპტის სისტემის შემოღება გამართლებული იყო. თუმცა ჩვენი მოქალაქეები მაინც ხშირად იღებენ ანტიბიოტიკებს.

ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე **ვახტანგ მეგრელიშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ანტიბიოტიკები ყოველდღიურად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოიყენება. ამიტომ ძნელია იმის თქმა, აზერბაიჯანში ან ჰოლანდიაში უფრო ნაკლებ ანტიბიოტიკს მოიხმარენ, თუ საქართველოში.

მანანა ნოზაძე

FOR.GE

◎ ადამიანის შინაგანი სამყარო

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტებმა წინადადება წამოაყენეს, რომ მარტოხელა ადამიანები... ინვალიდებს გაუტოლონ და, შესაბამისად, მათთვის სათანადო სამედიცინო დახმარების გაწევა დაიწყონ.

ეს, რა თქმა უნდა, არასტანდარტული და მეტად მოულოდნელი წინადადებაა, თუმცა კი აზრს სულაც არ არის მოკლებული. **მარტოობა — ეს მართლაც სნეულებაა, რომელიც ადამიანის ჭეშმარიტად ღრმა ფსიქოლოგიურ პრობლემებს მოწმობს.**

ადამიანი სოციალური არსებაა. მარტოობა მისთვის არაბუნებრივია, კოლექტივში ან წყვილში ცხოვრება კი მისთვის ერთადერთი მისაღები მდგომარეობაა. ამიტომაა, რომ სრულფასოვნად ცხოვრება ადამიანს სისხლით, ან სულით ნათესავთა გარემოცვაში შეუძლია და სიმარტოვეში ყოფნის სიმყუდროვესა და სიმშვიდეზე ნებისმიერი ლაპარაკი, სხვა თუ არაფერი, სინამდვილისგან გაქცევის მცდელობაა. აბა, გაიხსენეთ: უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილმა რობინზონ კრუზომაც კი სულიერი წონასწორობის აღდგენა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც პარასკევას შეხვდა!

ბევრს უკვირს, რომ ხშირად საყვარელი მეუღლის დაკარგვიდან საკმაოდ მოკლე ხანში, ვთქვათ, ერთ-ორ წელიწადში, ზოგიერთი ხანდაზმული ადამიანი მოულოდნელად ახალ ოჯახს ჰქმნის ხოლმე. ამის გამო ზოგი ჭორაობასაც კი იწყებს, არადა ვითარება სავსებით ნორმალურია, რადგან **ამ გზით ადამიანი საკუთარ თავს რღვევისგან იცავს!** სინამდვილეში ასეც უნდა იყოს, ხოლო საზოგადოებრივი „ჭორიკან-ვასლის“ „მთავართათვის“ ესოდენ ფასეულ გედის ერთგულებას ვერც ერთი მეტ-ნაკლებად განათლებული ფსიქიატრი ნორმალურ არჩევანს ვერ უწოდებს.

თუმცა კი ისიცაა, რომ „მარტოობის“ სახელით ცნობილი ინვალიდობა ამ საშინელი უბედურების ყველაზე იოლი, თანაც ასპროცენტიანად განკურნებადი სენია: ოღონდ საამისოდ საჭიროა ყველა გარშემო მყოფმა ადამიანმა მარტოხელა ქალბატონს თუ მამაკაცს საკუთარი შესაძლებლობებისამებრ მხარდაჭერა გაუწიოს და მაშინ სამყარო მათთვის კვლავ ნაირფერად გაცისკროვნდება!

დალი ხუნდაძე

სანთელი

ნანა, დათო ხაზარაძეები უდიდესი გულისტკივილით და მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი პედიატრი, ჩინებული პოეტი, მოყვასის სიყვარულითა და ერთგულებით გამორჩეული, სულმნათი

ლალი თაყაიშვილი

მოსალოდნელია ძლიერი ყინვები

მოსალოდნელ ყინვებთან დაკავშირებით, წყალსადენი სისტემისა და აღრიცხვის კვანძის მოყინვის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები და მითითებები:

აბონენტებმა, რომლებიც სარგებლობენ მრიცხველით, სასურველია შეფუთონ მათ კუთვნილებაში არსებული, ზედაპირულად და ღია სივრცეში განლაგებული წყალსადენი ქსელები და აღრიცხვის კვანძები. ასევე, რეკომენდებულია, დატოვონ ონკანი მოშვებული წყლის მცირე ჭავლით.

კომპანიის რეკომენდაციების გათვალისწინება განსაკუთრებით აუცილებელია თბილისის ზედა ზონების მოსახლეობისა და იმ აბონენტებისთვის, რომლებთანაც არსებობს კომუნიკაციების მოყინვის დიდი ალბათობა.

◎ კრიმინალი

მკვლელს 10 წელი მიუსაჯეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ზვიად ბოჭორიშვილი დამნაშავედ სცნო განზრახ მკვლელობის ჩადენაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2016 წლის 24 ივნისს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ზვიად ბოჭორიშვილი ტელეფონით ესაუბრა მის ნაცნობ ნიკა ჭკადუას, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. ზვიად ბოჭორიშვილმა სიტუაციის გარკვევის მიზნით იმავე დღეს ნიკა ჭკადუა დაიბარა ქ.თბილისში, წყალსადენის ქუჩაზე განთავსებულ პარკში. შეხვედრისას ზვიად ბოჭორიშვილს და ნიკა ჭკადუას კვლავ მოუხდათ ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც შურისძიების მოტივით, განზრახ მკვლელობის მიზნით,ზვიად ბოჭორიშვილმა ნიკა ჭკადუას დანით გულ-მკერდის არეში მიაყენა ჭრილობა. ნიკა ჭკადუა კი მიღებული ჭრილობის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ზვიად ბოჭორიშვილი იმავე დღეს საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზვიად ბოჭორიშვილი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

შსს-მ 224 აბი „სუბუტექსი“ ამოიღო



შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ნ. ბათუმში, ნონეშვილის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას 224 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ქუთაისის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

თბილისში, ქუთაისის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარია ნაპოვნი. ინფორმაციას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს. დაახლოებით 20 წლის ასაკის მამაკაცის ამოცნობა კრიმინალისტებმა შემთხვევის ადგილზე ვერ შესძლეს. სავარაუდოდ, ის სიმაღლიდან ჩამოვარდნის შედეგადაა გარდაცვლილი.როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ მსოფლიოს სიახლენი

იაპონიაში ცუნამის საფრთხე გაუქმდა

განგაში ქვეყნის აღმოსავლეთ **სანაპიროსთან მას შემდეგ გამოცხადდა, რაც ფუკუშიმას პრეფექტურაში 7,4 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა.** მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ივაკადან ჩრდილო-დასავლეთით 67 კილომეტრში მდებარეობდა. მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. ცუნამის საფრთხის გამო სანაპირო რაიონებიდან 3000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

ევროპა ტერორისტული აქტების მოლოდინში

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი ევროპას მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ აფრთხილებს. საგანგებო გზავნილში აღნიშნულია, რომ ისლამური სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმების რისკი საშობაო პერიოდში მოიმატებს. ქერის უწყება ამერიკის მოქალაქეეს საახალწლო დღესასწაულებზე ევროპაში მგზავრობისგან თავის შეკავებას ურჩევს.

შეტაკებები კიევში

კიევში დამოუკიდებლობის მოედანზე ევრომაიდნის მესამე წლისთავთან დაკავშირებით გამართული აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მოხდა. აქტივისტებმა კიევის ცენტრში მანქანის საბურავები მიიტანეს და მათი დაწვა სცადეს, რასაც სამართალდამცველებთან დაპირისპირება მოჰყვა.

აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ პოლიცია მშვიდობიანი აქციისთვის ხელის შეშლას ცდილობს და დემონსტრანტებს „დემოკრატიული ღირებულებების დაცვისკენ“ მოუწოდეს, რის შემდეგაც ევროპის მოედნის მხრიდან მაიდნისკენ ნიღბიანი ახალგაზრდების ჯგუფი დაიძრა და საბურავებს ცეცხლი წაუკიდა.

ამას გარდა, აქციის მონაწილეებმა მოძრაობა „უკრაინული არჩევანის“ ოფისსა და რუსული „სბერბანკის“ განყოფილების მინები ჩაამსხვრიეს.

როგორც BBC წერს, მაიდანზე უკრაინელ პოლიტიკოსებთან ერთად, ოდესის საოლქო ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილიც იმყოფებოდა, რომელმაც თანამდებობა 7 ნოემბერს დატოვა და ახალი პოლიტიკური მოძრაობა დააფუძნა. მიხეილ სააკაშვილმა 2014 წელს ევრომაიდნის მოვლენების დროს დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

◎ ანეკდოტები

სახინკლეში:

— გენაცვალე, კიდევ ოცდაათი ხინკალი ჩაგვიყარე, თუ ძმა ხარ!

— აუჰ!.. ის ორმოცდაათი ორკაცს მართლა არ გეყოთ თუ, იქნებ, მოგეწონათ?

* * *

— ისე, მაინც რა ხდება ქვეყანაზე! ამ 21-ე საუკუნეში ვიღაცები მაინც რაღაც მოჩვენებებზე, იმქვეყნიურ სულებზე, უცხოპლანეტელებზე ლაპარაკობენ!..

— აბა, აბა, ნუღა იტყვი, ჩემო ოლღა!.. წარმოიდგინე, მეზობელი მყავს, პაშა, ახლაც გონია, რო დედამიწა რგვალია. მე კიდო ვეუბნები, თუ რგვალია, მაშ ხალხი იქიდან დაბლა რათ არა სცვივა, ჰა?!

* * *

— გეიბე, ბიჭო, შალიკიემ ცოლი შეირთო!

— ფულის გულიზა თუ სიყვარულით?

— ცოლი, რა თქმა უნდა, ფულისთვის, ფული კი, ნაღდია, სიყვარულით!

* * *

დიდი ხნის უნახავი ნაცნობები ხვდებიან ერთმანეთს, ერთი მათგანი აშკარად უხასიათოდაა.

— რაო, რა ხდება, რატომ ხარ მოწყენილი, ძმაო?

— ეჰ, რაღა მოხდა და გუშინ გავიგე, რომ ცოლი მღალატობს.

— ე-ე, მეც არა ვთქვი რა მოხდა-მეთქი... შენ ახალი რამე თქვი, თორემ ეგ ხომ რამდენი ხნის ცნობილი ამბავია!..

* * *

— კი მაგრამ, ლუიზა, სად მიგაქვს ამხელა ტორტი?

— ჩემი ქმრის ახალ მდივანს უნდა მივართვა.

— რაო, დაბადების დღე აქვს?

— დაბადების დღე კი არა, ძალიან კარგი ტვინი აქვს!

თურმე ჩაწერას ჩახატვა სჯობს

ვატერლოოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ხატვა ხელს უწყობს ინფორმაციის დამახსოვრებას.

მათი მტკიცებით, მეხსიერებაში ინფორმაციის დასამაგრებლად უკეთესია არა კონსპექტების, არამედ ჩანახატების გამოყენება. ხატვა დადებით ზეგავლენას ახდენს ყურადღების კონცენტრაციაზე, სტიმულირებს ვიზუალურ და არსობრივ ასოციაციებს, თანაც ახალ ინფორმაციას მეხსიერებაში უკეთ ამაგრებს.

გოლიათების პლანეტა

პერუს ინდიელთა გადმოცემებით, ინკა XII იატარკო კუსოს მეფობის დროს, ლერწმის დიდი ტივებით იქ უზარმაზარი აღნაგობის ადამიანები ჩავიდნენ, რომლებსაც ყველაზე მაღალი კაციც კი... მუხლებამდე წვდებოდა.

ინკები მათ ძველი ცივილიზაციის შთამომავლებად მიიჩნევდნენ. სხვათა შორის პერუში ქვებზე ხშირად გამოსახავდნენ 4-5 მეტრზე მაღალ ადამიანებს. მათ შესახებ ანალოგიური გადმოცემები დედამიწის სხვა მხარეებშიც მრავლადაა.

სამხრეთამერიკელ ინდოელთა გარდა არსებობს სხვა ხალხების მოწმობებიც. მაგალითად, არაბ მოგზაურ იბნ ფადლანს, რომელიც ათასზე მეტი წლის წინათ ცხოვრობდა, ხაზარეთში ექვსი მეტრის სიმაღლის ადამიანის ჩონჩხი უნახავს.

ესპანელ კონკისტადორებს კი აცტეკების ერთ-ერთ საყდარში თითქმის 20 მეტრის სიმაღლის(!!) კაცის ჩონჩხი უნახავთ!

ამჟამად, სამეცნიერო სამყაროში არის დამოუკიდებელ მკვლევართა ჯგუფი, რომლის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ 12-20 ათასი წლის წინათ დედამიწაზე 4-12 მეტრის სიმაღლის გოლიათები სახლობდნენ, რომლებიც დიდი ფიზიკური ძალის გარდა ფენომენალური გონებრივი უნარითაც გამოირჩეოდნენ.

„მეჭიანურის ფილტვები“

სასულე ინსტრუმენტზე დაკვრა შესაძლოა, სახიფათო გახდეს თქვენი ფილტვებისთვის, გვაფრთხილებენ ბრიტანელი მედიკოსები.

ლაპარაკია იშვიათ, თუმცა კი საბედისწერო სნეულებაზე, რომელსაც „მეჭიანურის ფილტვები“ დაარქვეს. ცოტა ხნის წინათ 60 წლის კაცი იმისგან დაიღუპა, რომ მის ჭიანურში ობმა და სხვადასხვა სახეობის სოკომ დაიბუდა და ყველაფერი ეს მის ფილტვებში ხვდებოდა, როცა იგი ინსტრუმენტზე უკრავდა.

ამტომაც, **საჭიროა სასულე ინსტრუმენტების რეგულარულად გარეცხვა, ამბობენ ექიმები, ხოლო თუ მუსიკოსს ხველა დიდი ხნის მანძილზე აწუხებს, საჭიროა, ექიმს მიმართოს,** რადგან ნესტის გამო სასულე ინსტრუმენტში დაბუდებულ პათოგენურ მიკროორგანიზმებს შეუძლიათ ფილტვების ანთების პროვოცირება.

სახიფათო ხმაური

ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ჯერ თავის ტვინზე, მერე კი გულზე მოქმედებს — ეს დასკვნა გარემოს დაბინძურებაზე კონტროლის საბჭოს ინდოელმა ექსპერტებმა გამოიტანეს.

თანამედროვე დიდ ქალაქებში, უქმე დღეებშიც კი, ხმაურის დონე დასაშვებზე მრავალჯერ მეტია: თვითმფრინავების ძრავების, ჩქაროსნულ გზებზე მოძრავი ავტომანქანების, თუნდაც ბინებში მომუშავე ჩვეულებრივი სარეცხი მანქანების ხმები „ხმაურის ჭუჭყს“ ჰქმნის, რომელიც თანამედროვე სამყაროს ისეთივე პრობლემაა, როგორიც ჰაერისა თუ ნიადაგისა და წყლის დაბინძურება.

მეცნიერთა პროგნოზით, დროთა განმავლობაში ეს პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრდება, განსაკუთრებით მეგაპოლისებში.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 25 ნოემბერს

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4903; ევრო - 2.6497;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0740;
100 რუბლი - 3.8766; თურქული ლირა - 0.7382;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4275;
1000 სომხური დრამი - 5.2345.

ამინდი 23 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5,	დღე +4
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +4
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -5,	დღე +12
თბილისი:	ღამე -1,	დღე +1

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE